ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№101 (162) 4-11 იანვარი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II 78 წლის გახდა

4 იანვარს, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია **II 78** წლის გახდა.

უწმიდესი და უნეტარესი (ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი) **1933** წლის **4** იანვარს ქ. ვლადიკავკაზში დაიბადა. კათოლიკოს-პატრიარქის მშობლები საქართველოდან, ყაზბეგის რაიონიდან იყვნენ: მამა – გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილი – სოფელ სნოდან, დედა – ნატალია იოსების ასული კობაიძე კი – სოფელ სიონიდან. **1927** წელს მათ ვლადიკავკაზში სახლი შეიძინეს, სადაც შემდეგ საქართველოს მომავალი პატრიარქი დაიბადა. მშობლებმა სამი დღის ახალშობილი ქრისტეშობის დღეს ქართულ ტაძარში მონათლეს და ყრმას ერეკლე **II** პატივსაცემად ირაკლი უწოდეს.

1952 წელს ირაკლი შიოლაშვილმა დაამთავრა ვლადიკავკაზის **22**-ე საშ. სკოლა და ჩააბარა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო მოსკოვის სასულიერო აკადემიაში.

1957 წელს სასულიერო აკადემიის **II** კურსის სტუდენტი ირაკლი შიოლაშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ **III** ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა და სახელად წმიდა ილია წინასწარმეტყველის საპატივცემულოდ ილია ეწოდა. მალე იგი ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, **1959** წელს კი – მღვდელ-მონაზვნად.

მღვდელ-მონაზონმა ილიამ **1960** წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია. მას სთხოვეს, გაეგრძელებინა სამეცნიერო მოღვაწეობა, მაგრამ სასულიერო კადრების სიმცირის გამო, სამშობლოში დაბრუნდა და დაინიშნა ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად. ერთგული მოღვაწეობისათვის იგი **1961** წელს აღყვანილ იქნა იღუმენის, შემდეგ კი არქიმანდრიტის ხარისხში; ხოლო **1963** წლის **26** აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ **II** მიერ ხელდასხმულ იქნა შემოქმედის ეპისკოპოსად და დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპოსკოპოსად. **1963** წლიდან **1972** წლამდე იგი იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის – იმ დროისათვის ერთადერთი სასულიერო სასწავლებლის – პირველი რექტორი.

1967 წელს ეპისკოპოსი ილია გადაყვანილ იქნა

აფხაზეთის ეპარქიაში. **1969** წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. **1977** წლის **9** ნოემბერს კი უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით **V** გარდაცვალების შემდეგ წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით დადგინდა პატრიარქის მოსაყდრედ, ხოლო **1977** წლის **23** დეკემბერს არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. იმავე წლის **25** დეკემბერს მოხდა მისი ინტრონიზაცია. პატრიარქს მიეკუთვნა სახელი ილია **II** (ილია **I** საქართველოს ეკლესიას მართავდა **1600** წლის წინ **390-400**წწ).

1978-1983 წწ. კათოლიკოს-პატრიარქი ილია **II** იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი. იგი დაჯილდოვებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საქართველოს, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის პატრიარქების, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და თითქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია **II** ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა. **1997** წელს მისი უწმიდესობა კრეტის სასულიერო აკადემიამ თავის საპატიო წევრად აირჩია. ამ წელსვე იგი არჩეულ იქნა გაეროსთან არსებულ ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად; **1998** წელს კი ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. ტიხონის საღვთისმეტყველო სემინარიამ ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა.

1988 წელს უწმიდესისა და უნეტარესის თაოსნობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოტანილ იქნა თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები: ბათუმში, ახალციხესა და ქუთაისში სასულიერო სემინარიები, ხულოში სასულიერო სასწავლებელი და მასთან არსებული გიმნაზია, გიმნაზიები დაარსდა თბილისში, ბათუმში, ზესტაფონში... საუკუნეთა შემდეგ კვლავ აღდგა გელათის სასულიერო აკადემია და ეკლესიის ეგიდის ქვეშ მყოფი გელათის მეცნიერებათა აკადემია.

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, საღვთისმეტყველო კრებულები, ბროშურები და წიგნები, ჟურნალები, სამი სახის კალენდარი, დაარსდა გაზეთები. მისი ინიციატივით საპატრიარქოსთან შეიქმნა ხუროთმოძღვრების ცენტრი, ხალხური რეწვის და მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, საგამომცემლო და სიწმიდეთა მოძიებისა და დაცვის ცენტრი, შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის განყოფილება, ასევე საგარეო და საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება, საინფორმაციო სამსახური, ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაი“, ჰუმანიტარული სამსახური, მომლოცველობის სამსახური და სხვა.

ამ ოცი წლის მანძილზე საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი **15**-დან **33**-მდე გაიზარდა, მონასტრებისა – **53**-მდე, სასულიერო პირთა – **1000**-მდე. მოხდა კანონიზირება ახალი წმინდანებისა. აშენდა საქართველოში ყველაზე დიდი ეკლესია – წმ. სამების სახელობის საკათედრო ტაძარი.

მორიელის სინდრომი 8-12

მიშა წადი, ანუ საახალწლო სურვილი 2

ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია 9

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა. ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომის დასასრულს ვთავაზობთ გაზეთ “ილორის” მკითხველს.



აფხაზების გარეშე აფხაზეთი არ გვჭირდება! 5

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ქურდოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებული "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაა აღწერილი. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.

მარცხნიდან: **გიორგი შარვაშიძე, ალექსანდრე შარვაშიძე, მელიტონ ემუხვარი, ასტამურ ინალ-იფა; დგას ალექსი ძიაფშ-იფა**

მელიტონ ემუხვარის ერთადერთი ქალიშვილი მართა, ანუ, როგორც ჩვენ მივმართავდით „მართა მელიტონოვნა", განათლების სისტემის ერთ-ერთი გამორჩეული მუშაკი იყო. მან მთელი ცხოვრება ობოლი და მიუსაფარი ბავშვების აღზრდას მიუძღვნა. ბოლო წლებში სურამის ბავშვთა სახლის დირექტორად მუშაობდა. მართალი, შეუპოვარი, ალალი, ხელგაშლილი ქალი იყო. ასე ამბობდნენ: მართას აღსაზრდელებს რა გაუჭირდებათ, ისეთი დედა-დირექტორი ჰყავთო.

ბებია ლილი და დედაჩემი, ბაბუა ბოდღოს შესახებ და საერთოდ თავსდამტყდარ რეპრესიებზე, ახალგაზრდებს, თითქმის არასოდეს გვიყვებოდნენ, სიცოცხლის ბოლომდე ეშინოდათ. დანამდვილებით ისიც არ ვიცით, ბოდღო ჩეკაში როგორ დაიღუპა. თავი მოიკლა თუ მოკლეს..."

ამ რამდენიმე წლის წინ, ცნობილი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის კიტა მეგრელიძის ქალიშვილმა, ქალბატონმა მანანა მეგრელიძემ ქართველ საზოგადოებას პრესის ფურცლებიდან, ბოდღო ემუხვარის ბიოგრაფიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდი ამცნო.

მანანა მეგრელიძის გადმოცემით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის თხოვნითა და ლოცვა-კურთხევით ბოდღო ემუხვარმა 1940-იანი წლების დასაწყისში, ბედიის მონასტრის ბერებს ჩააკითხა და საგანგებოდ გადამალული, ქართული ჭედური ხელოვნების თვალსაჩინო შედევრი – ბედიის ბარძიმი ჩაიბარა. იმ წლებში საბჭოთა ხელისუფლება სამუზეუმო განძეულობის გარკვეულ ნაწილს, ვალუტის მიღების მიზნით, საზღვარგარეთ ჰყიდდა. როგორც ეტყობა, ამ ფაქტით შეშფოთებული კათალიკოსი შეეცადა ბედიის ბარძიმის გადარჩენას და ეს უმნიშვნელოვანესი მისია ყველაზე საიმედო პირს მიანდო.

ერთ საღამოს მეგრელიძეების ოჯახში სტუმრად მისულა ქალბატონი მანანას ნათლია და მამამისის უახლოესი მეგობარი – ბოდღო ემუხვარი და ნაბადქვეშ გადამალული ბარძიმის რამდენიმე დღით შენახვა უთხოვია. ის რამდენიმე დღე სამი წელი გაგრძელდა...

საშიშროებამ რომ გადაიარა მეგრელიძეებმა ეს უძვირფასესი განძი საქართველოს ხელოვნების მუზეუმს ჩააბარეს.

აფხაზთა დეპუტაცია

1916 წელს, რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტის ბოლო მცდელობის საპასუხოდ, თბილისში, ალექსანდრე გრიგოლის ძე შარვაშიძის თავკაცობით, აფხაზ საზოგადო მოღვაწეთა დიდი ჯგუფი ჩამოვიდა. მათ კავკასიის მეფისნაცვალს გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძის შედგენილი და აფხაზი ხალხის უმრავლესობის მიერ მიღებული სათხოვარი მიართვეს.

დეპუტაციის მოთხოვნა ქართული ჟურნალის **"თეატრი და ცხოვრება"**-ს რედაქციის მიერ ასე არის ჩამოყალიბებული: **"1. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აქამდე მივიწყებულ სოხუმის ოლქს. 2. გაიხსნას აქ რაც შეიძლება მეტი სკოლები, უმთავრესად პრაქტიკული ხასიათისა. 3. გაყვანილ იქნას ახალი გზები და შესწორდეს ძველი. 4. სწავლა სკოლებში წარმოებდეს მშობლიურ ენაზე (ქართულზე და აფხაზურზე). 5. სოხუმის ოლქი გამოყოფილ იქნეს ცალკე გუბერნიად და არანაირი გზით არ იქნეს მიწერილი სხვა უცხო გუბერნიასთან. 6. თუ შეუძლებელი იქნება ცალკე გუბერნიად სოხუმის ოლქის გარდაქმნა და იგი რომელიმე გუბერნიას უნდა შეუერთდეს, იმ შემთხვევაში სოხუმის ოლქი შეერთებული უნდა იქნას ქუთაისის გუბერნიასთან. 7. სოხუმის ეპარქია, რადგან ის მთელი თავისი წარსულით და აწმყოთი შესისხლხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას გზით არ უნდა იყოს გამოყოფილი საქართველოს საეგზარქოსოსაგან".**

დელეგაციის სულისკვეთებას ასევე ნათლად გამოხატავს გაზეთ **"საქართველოში"** გამოქვეყნებული **"მცირედი განმარტება აფხაზთა მოთხოვნილების შესახებ"**, რომელსაც ხელს აწერდნენ მელიტონ ემუხვარი და პეტრე ანჩაბაძე. **"განმარტებაში"** აფხაზი ხალხის სახელით აღნიშნულია: **"ჩვენი სურვილია, შევინახოთ ენა და განსაკუთრებული თვისება... ჩვენი თვითარსებობის წინააღმდეგ ბევრნაირი ხიფათია, მაგრამ ყოველივე საშუალებით ვიბრძვით არსებობისათვის...**

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებულნი მომმე ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურება. ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველებთან გვიხსნის მრავალნაირი განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით".

მიშა წადი, ანუ საახალწლო სურვილი

ახალი წელი გავიდა. ამ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, მაგრამ მაინც განსაკუთრებული, დღისთვის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით ყველა თავისებურად ემზადებოდა. საქინფორმის ჟურნალისტი მოქალაქეებს გაესაუბრა და ეცადა, გაერკვია, თუ ვინ, როგორ და სად აპირებდა ახალი წლის შეხვედრას და ვინ რას მოელოდა მომავალი 2011 წლისგან.

საკმაოდ ორიგინალურია ერთ-ერთი რესპონდენტის სურვილი (რომელმაც შიშის გამო თავი ინკოგნიტოდ დაგვატოვებინა). მას სურს, რომ 2011 წლის ნაცვლად, არც მეტი არც ნაკლები, 2013 წელი დადგეს, რომ მიშა მალე წავიდეს.

სალომე ბუაჩიძე (29 წლის): **"მე ერთ-ერთ გაზეთში ვმუშაობ ჟურნალისტად და, ალბათ, კარგად იცით, პრესაში რა შემოსავალია. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულად, მიუხედავად დიდი სურვილისა, ახალი წლისთვის ვერ ვემზადები; შვილი მყავს, რომელსაც მარტო ვზრდი და მინდა, იმდენი ჰონორარი ავიღო, რომ მისი სურვილების ნახევარი მაინც ავასრულო თოვლის ბაბუს სახელით, ჩემს თავს აღარ დავეძებ, ვიჯდები სახლში და ტელევიზორს ვუყურებ, ოღონდ რუსულ არხს, ჩვენები რას გააკეთებენ, უკვე წარმოდგენილი მაქვს, 2011 წლიდან კი დაფასებას ველოდები, შრომის დაფასებას, არამარტო ჩემი, არამედ მთელი მოსახლეობის. მე ხშირად მიწევს ხალხთან ურთიერთობა და ვიცი, რამდენს შრომობენ ადამიანები ხუთი ლარის გამო, სხვისას არაფერს ვითხოვ და არც უსაქმურად მინდა ჯდომა, უბრალოდ, დამიფასონ ნამუშევარი".**

ნანა ბუაჩიძე (53წლის): **„მე დიასახლისი ვარ, ახალი წლისთვის მთელი გულით და სულით მოვემზადე, პატარა ბავშვივით მიხაროდა. შვილიშვილებს ნაძვის ხის მორთვას არ ვაცლიდი, ეს დღე ჩვენს ოჯახში ყოველთვის პომპეზურად აღინიშნება. სუფრაზე ინდაურის საცივი, გოჭის ხორცი, გოზინაყი და კუჭმაჭი თუ არ არის, ის რა ახალი წელია?! ჩემი საქმე მომზადებაა, ჩემი შვილები კი პროდუქტებით მამარაგებენ. 2011 წელი მინდა ყველა ქართველისთვის ბედნიერების მომტანი იყოს და 2012 წელს მინდა, რომ უკვე ერთიან საქართველოში შევხვდეთ".**

რევაზ ზურაბიშვილი(37 წლის): **„მე სამარშრუტო ტაქსის მძღოლი ვარ და ყველაზე კარგად ვხედავ, რა დღეშია ხალხი. ასეთი გაღიზიანებული ქართველები მე ჯერ არ მინახავს, მაგრამ არც ვამტყუნებ. ახალგაზრდა ბიჭი გოგოსთან ერთად რომ ამოვა და უფასოდ გამოყოლას გთხოვს, მიდი და გაამტყუნე, გაღიზიანებული რომაა, ან უარი უთხარი. ახალ წელს მინდა**

იმდენი მაინც შევძლო, რომ პატარა სუფრა გავშალო მეგობრებისთვის და შვილს თოვლის ბაბუას როლი შევუსრულო. ვერტმფრენი უნდა, რომელიც 130 ლარი ღირს, გამოდის, რომ მე ერთი კვირა მარტო იმიტომ უნდა ვიმუშაო, რომ ბავშვს 1 სათამაშო ვუყიდო, ყველაზე ძალიან სიტუაციის გამოსწორება მინდა, ყველა ბავშვს, მინდა, ის ჰქონდეს, რაც გულით უნდა, იმიტომ, რომ ჩემს ბავშვობაში ასე იყო - მეც და ჩემს ყველა მეგობარსაც ყველაფერი გვქონდა და, თუ რომელიმე კლასელს რამე არ ჰქონდა, ამაზე ჩვენი მშობლები ზრუნავდნენ. ახლა თითქოს ხალხიც შეიცვალა. წაქცეულს ისე გადაგაბიჯებენ, ვითომც არ დაუნახიხარ. მოკლედ, სიტუაცია და ხელისუფლება მინდა შეიცვალოს და დანარჩენს ჩვენ თვითონ მივხედავთ".

მკაფიოდ ჩამოყალიბებული სურვილი მოგვახსენა 84 წლის ჯუმბერ ნოზაძემ, რომელსაც საქინფორმის ჟურნალისტი ერთ-ერთ პარკში ჭადრაკის თამაშის დროს წააწყდა:

„მიშა მინდა წავიდეს. ამას ვიფიქრებ ყოველდღე და ახალი წლის ღამესაც იმავეს ჩავიფიქრებ, რატომ მინდა წავიდეს? იმიტომ, რომ სიბერე გამიმწარა, თუ კიდევ რამე აინტერესებს, მოვიდეს ჩემთან და თავად ვეტყვი, მაგრამ ეგ სად მომსვლელია, მე ხომ არც მასაჟისტი ვარ და ბოლო-ბოლო - არც ქალი.

თავად ნახეთ, რომ სურვილები ერთანეთისგან დიდად არ გასხვავდება. საქართველოს ყველა მოქალაქეს თითქმის ერთი და იგივე რამ აწუხებს. ახალი წლის ღამეს ამ სურვილს, თუ ყველა ერთად ჩაუთქვამს, ვინ იცის, იქნებ აუხდეთ კიდეც.

მოსახლეობა ზედმეტ პრობლემებს ერიდება და სიცივეს ითმენს

ზამთარი ძალაში შევიდა. მართალია, ბარად ამ პერიოდისათვის უჩვეულო ამინდებია, მაგრამ მთაში უკვე ჩამოთოვა და საკმაოდაც აცივდა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი მთიანი სოფლების - რიონის, ზარათის, სორმონის, მექვენის, დერჩის, ბენთქოულის მოსახლეობას ამ ზამთარს გათბობის სერიოზული პრობლემა აქვთ, რაც გამოწვეულია ტყეში შეშის მოჭრასთან დაკავშირებულ აკრძალვებთან.

რაც შეეხება სასჯელებს ტყის ან, უბრალოდ, ხეების მოჭრაზე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 65-ე მუხლით ტყით სარგებლობის წესების დარღვევა ისჯება 150 ლარამდე ჯარიმით, 66-ე მუხლით შესაბამისი ლიცენზიის ან ბილეთის გარეშე – 100 ლარამდე ჯარიმით, ტყე-ბუჩქნარის დაზიანებაზე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ჯარიმა 400 ლარამდეა (64-ე მუხლით), დაცულ ტერიტორიებზე – 600 ლარამდე (64-ე მუხლით). სისხლის სამართლის კოდექსში 303 მუხლია ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა მნიშვნელოვანი ზიანის მოტანით, რაც 3 წლამდე ციხეს ითვალისწინებს.

მოკლედ, ხის მოჭრაზე უნდა გქონდეს ნებართვა, ლიცენზია ან ბილეთი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლება დაგიჭირონ ან დაგაჯარიმონ, თუ ლიცენზიის პირობებს არღვევ (მეტს ჭრი, ვიდრე გიწერია და ა. შ.) ან თუ **„ტყითსარგებლობის წესებს"** არღვევ. ეს გრძელი დოკუმენტებია, სადაც ჩამოთვლილია ესა თუ ის ხე როგორ უნდა მოჭრა, როგორ გასხიპო, როგორ გაიტანო, იმ ტოტებს რა უნდა უყო და ა. შ.

ასე რომ, ნებისმიერი ხის მჭრელის დაჭერა შეიძლება, მიზეზის პოვნა კი არ გაჭირდება.

ამიტომაა, რომ მოსახლეობა ზედმეტ პრობლემებს ერიდება და სიცივეს ითმენს. გვატყობინებს რეგიონიდან საქინფორმის კორესპონდენტი, რომელიც იქაურ მცხოვრებთ გაესაუბრა.

''ტყეს შენახვა უეჭველად უნდა, მაგრამ ის, ვინც დრუჟბით ჭრის, და ის, ვინც – ბირდაბირით, ხომაა განსხვავდება?'' – რიტორიკულ შეკითხვას სვამს ზარათელი ა. ფურცხვანიძე.

''ვინც კუბურმეტრობით ყიდის და ვინც გასათბობად ჭრის, ხომ არაა ერთი და იგივე?

ჩვენთან კი ჯერ კიდევ ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ერთია.

ჰოდა, მაგ კანონით იმას დაიჭერენ, ვისაც ბავშვი რომ სიცივით არ მოუკვდეს, იმიტომ რომ ჭრის. ვინც ტონობით ყიდის, ის ისევ მოჭრის. მერე გაგიკვირდეთ, რატომ არ მრავლდება ერი!'' – დასძინა ჯუმბერ იობიძემ.

რაკი ბუნებრივი რესურსების მოხმარებაზე მოსაკრებლის კანონი ტყის არამერქნული რესურსებიდან მარტო სოჭის გირჩებზე, ყოჩივარდისა და თეთრყვავილას ბოლქვებზე, ფიჩხის მოგროვებაზე ჯერჯერობით არ ვრცელდება, კანონმორჩილი ადამიანები ამას უნდა დასჯერდნენ.

''და მაინც მოჭრით ხეს?'' – მოკლედ, როცა სცივა ოჯახს, ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა

სააგენტო საქინფორმი

საქართველო (კოლხეთი) – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა
იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე
პროფ. ლევან სანიკიძე

(დასაწყისი "ილორი" კოლხეთს №97, 98, 100)

ხოტუ (ჰოტუ) მატუა – აღდგომის კუნძულის პირველი მეფე

ნორვეგიელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა 1955-1956 წლებში დაქირავებული გემით და ექსპედიციის 25 წევრით იმოგზაურა აღდგომის კუნძულზე, რომ გაერკვია, თუ ვინ იყვნენ ყველა მატერიკისაგან დაშორებული კუნძულის თავდაპირველი მოსახლენი, ვინ შექმნა იქ არსებული ფანტასტიკური, გრანდიოზული ქვის ქანდაკებები, შორეული წარსულის უცნობი კულტურა. შემდეგ მან გამოსცა შესანიშნავი წიგნი **"აღდგომის კუნძულის საიდუმლოება".**

ჰოლანდიელმა მოგზაურმა, ადმირალმა როგვენმა 1722 წელს, 6 აპრილს, აღდგომის დღეს, შემთხვევით აღმოაჩინა კუნძული და მას **"აღდგომის კუნძული"** უწოდეს.

1988 წელს, ავსტრალიელმა პროფესორმა რობერტ მაურმა კუნძულის ტორფიან ჭაობში აღმოაჩინა შუა საუკუნეების დროინდელი ცხენზე ამხედრებული რაინდი, რომელიც აღჭურვილობის მიხედვით ლივონის ორდენის წევრი უნდა ყოფილიყო. მაგრამ როგორ მოხვდა იგი აღდგომის კუნძულზე? მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ შუა საუკუნეებში იყო ტექნიკა, რომლის საშუალებით შეიძლებოდა დიდ მანძილზე წუთიერ-წამიერი გადაადგილება. ეს ჩვენ დაუჯერებლად მიგვაჩნია!

ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან აღდგომის კუნძულზე ცხოვრობდნენ კოლხ-მეგრელები და მათი ლიდერი იყო ჰოტუ (ხოტუ) მატუა, კუნძულის პირველი მეფე, მოსახლეობის უმრავლესობა იყო მეგრელები (თეთრკანიანები, არა შავ და ფერადკანიანები). სწორედ მუსლიმანთა წინააღმდეგ ევროპული ქვეყნების რაინდთა ბრძოლაში მონაწილეობდნენ დავით აღმაშენებელის ჯარებიც. ამ დროს და შემდგომი პერიოდის მოლაშქრე მეგრელთა გვარები ცნობილია (შელიები, ხაინდრავები და სხვა), რომელთა (მოლაშქრეთა) ნაწილი, ლაშქრობის შემდეგ ევროპაში გადასახლდა. ამჟამადაც ბევრი შელია ცხოვრობს დასავლეთ გერმანიაში, ევროპის სხვა ქვეყნებში, ამერიკის მატერიკზე. ცნობილია გერმანელი დიდი თავადი, სახელმწიფო, პოლიტიკური, დიპლომატიის ფრონტზე მოღვაწე შელია, დიდი მზვერავი – **"ალტეს"** ჯგუფის წევრი, რომელსაც ფაშისტურმა სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა, ჰიტლერმა კი ჩამოხრჩობით შეუცვალა. ფაშისტთა ზედაფენებში გაკვირვებული წერდნენ და ამბობდნენ: ასეთი გამოჩენილი მოღვაწე, თავადი, როგორ ებრძოდა ჰიტლერსო. **"ალტეს"** ჯგუფის ხელმძღვანელებს ილზა შტიობეს, რუდოლფ ფონ შელიას და სხვებს სქელტანიანი წიგნი მიუძღვნა ამ ორგანიზაციის წევრმა, ცნობილმა გერმანელმა მწერალმა, ეკონომისტმა, ჟურნალისტმა ერჰარდ კეკელმა – **"ჩვენი საუკუნის ქარტეხილები. მზვერავი ანტიფაშისტის ჩანაწერები".** რომელიც ბერლინში გამოვიდა 1983 წელს, ხოლო 1987 წელს – მოსკოვში, რუსულ ენაზე. მანამდე მოსკოვის გაზეთმა **"იზვესტიამ"** თხუთმეტ ნომერში გამოაქვეყნა მასალები ელზა შტიობეს და ფონ შელიას შესახებ (1984 წელი), გაზეთმა **"თბილისმა"** აღნიშნული მასალები გამოაქვეყნა 1984 წლის 25 აგვისტო-18 სექტემბრის ნომრებში, გაგრძელებით (სათაურით **"ასე მზადდებოდა 1941 წლის 22 ივნისი"**).

ყველა მონაცემებით ჩანს, რომ ავსტრალიელი მეცნიერის მიერ ნაპოვნი რაინდი დავით აღმაშენებლის მოლაშქრე იყო.

თექვსმეტი საუკუნის შემდეგ აღდგომის კუნძულის მცხოვრებლები – მათი აზრით, ყველაზე უკეთეს სოფელში ანაკენაში, სადაც იყო ჰოტუ (ხოტუ) მატუას სახლი და სამზარეულოს ნარჩენები, ტურ ჰეიერდალის ექსპედიციის წევრებს სიყვარულით უმღერიან:

ტე, ტერტერ, ტე ვაკა ტე ჰოტუ მატუა!

ო, გო-გო! ტე ტერე ტე ვაკა ტა ჰოტუ მატუა...

სამწუხაროდ, ნორვეგიელ მეცნიერს არაფერს არ აძლევდა თუ რომელი ეროვნების იყო ჰოტუ მატუა და არც ის გიგანტურ ქანდაკებებზე გიგანტური თავსაბურავები – ორი წვერჩამოშვებული ყაბალახი (პუკაო), რომელიც მეგრელთა (ქართველთა) თავსამკაულია.

ჰეიერდალი წერს: **"პირველ რიგში მე გამაოცა იმან, რომ ჩვენს წინ მიწაში მდებარე საგანი საოცრად მოგვაგონებდა ინკების წინადროინდელ პერიოდის კოლონა-ქანდაკებებს, რომლებიც ანდებში გვხვდება..."**

აქ **"გასაოცარი"** არაფერია! სწორედ ინკებში, აცტეკებში და მაიას ტომებში ცივილიზაცია შეიტანეს კოლხ-პელაზგების, იბერია-მეგრელი ხალხის წარმომადგენლებმა. ამიტომ, ბუნებრივია, ინკების წინადროინდელი პერიოდის **"კოლონა-ქანდაკებები"** საოცრად ჰგავდა აღდგომის კუნძულების "**მიწაში მდებარე საგნებს**". ჰეიერდალი აგრძელებს: **"ინკებში მშენებლობის ტექნიკა შეიტანა იმ კულტურულმა ხალხმა, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი კუნძულზე".**

აღნიშნულ პერიოდში იბერთა თაოსნობით ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე იქმნება აცტეკების, მაიასა და ინკების კულტურები და დიდი ცივილიზაციები. იბერთა გონითა და პროექტებით შენდებოდა გიგანტური ნაგებობები – ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები. რევაზ ერისთავი ხაზგასმით მიუთითებს, რომ იბერები უძველეს დროში გადაადგილებას იწყებენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში განვლეს ამერიკის ჩრდილოეთი და სამხრეთი კონტინენტები. კოლხები მეტალურგიულ საქმიანობას ეწეოდნენ (რკინა-ფოლადს ადნობდნენ) კანადის ხუთი ტბის რაიონში, 42-ე გრადუსის პარალელზე.

კლიმენტი შელია,
აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე
(გაგრძელება იქნება)

ბატონებს სოსო სიგუას, მეუფე ანანიას, და ფუტკარაძე-გვანცელაძეს გაზეთ „კვირის პალიტრაში„ გამოქვეყნებული პასკვილის პასუხად

ეროვნულ უმცირესობათა ენის ქარტიას გერმანელებმა 1991 წელს მოაწერეს ხელი, 1998 წელს გაუკეთეს რატიფიკაცია და 1999 წელს შევიდა გერმანიაში ძალაში... ფრანგებმაც ხელი მოაწერეს 1999 წლის 7 მაისს.

რატიფიკაცია კი ჯერ არ გაუკეთებიათ... არ იცოდა ბატონმა არეშიძემ თორემ საქმის ამრევად თურქეთს დაასახელებდა, რომელსაც ხელიც არ მოუწერია.

ბატონი ექსპერტი იტყვის ახლა, კი მარა, ჩვენ გერმანია ხომ არა ვართ, ჩვენთან როგორ შეიძლება იგივეს გაკეთებაო... არც საფრანგეთი და თურქეთი რომ არა ვართ ბატონო ექსპერტო, მაგას რა ვუყოთ.. საფრანგეთისა თუ თურქეთის **„ ცუდ საქმეებში“** გატოლებას, გერმანიასა თუ ევროპის სხვა 30 ქვეყანის **„კარგ საქმეებში“** გატოლება ხომ არ აჯობებდა... **„ენობრივი ნაციონალიზმი“ /Sprachnationalismus/** ფრანგების მოგონილია და თურქებმა დააგვირგვინეს ... მეუფე ანანია კი ეხლა საქართველოში ფიქრობს იგივეს გაკეთებას /ჟურნალი სვეტიცხოველი: **„ენა და სახელმწიფო„**/.

მაგრამ ეხლა მე-19 საუკუნე რომ არ არის და არც **ათა თურქი** გვყავს ქართველებს სადმე, მაგას რა ვუყოთ... ფრანგებმა ისე მოაშთეს სხვა ენებზე მოლაპარაკეები, რომ აღარც კი შერჩათ ასეთნი საფრანგეთში, მაგრამ მათი აჩრდილები აშინებთ კიდევ და იმიტომ არ უკეთებენ რატიფიკაციას ქარტიას... რაც შეეხება თურქებს, ჯერ კიდევ საკითხავია თავიანთი გათურქების პოლიტიკით ფონს გავიდნენ თუ არა /ქურთების პრობლემა/...და კიდევ, მაგ გათურქებულ ხალხში რამდენიმე მილიონი ჩვენი თანამომმეები რომ მოყვნენ...

„ ეს არის ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება , რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის დაშლაზე“ – მართალი ბრძანდებით ბატონო ექსპერტო , ევროპის საბჭოც ჩაბმულია ამ შეთქმულებაში და „ენების ქარტიაც“ ამ მიზნით შეიქმნა...

„თუ სვანური, მეგრული, აზერბაიჯანული და სომხური რეგიონალურ ენებად გამოცხადდება, იქაურ მოსახლეობას ქართულის სწავლის მოტივაცია აღარ ექნება. იქნება კომპაქტურად თავის კუთხეში, რაც საბოლოოდ ქვეყნის დაშლას გამოიწვევს „ – ეს მგონი კორესპოდენტებმა აურიეს რაღაც, თორემ სამეგრელოსა და სვანეთს ქართულის სასწავლებლად მოტივაცია ჭირდებაო, როგორ იტყოდა ბატონი არეშიძე...

რაც შეეხება სომხურსა და აზერბაჯანულს : რომ წაეკითხა **„ქარტია“** ბატონ არეშიძეს გაიგებდა, რომ არაფერი იმ **„ქარტიაში“** არ არის, რაც დღეს არა აქვთ ჩვენს სომეხ და აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს...სკოლები, რადიო-ტელევიზია და ასე შემდეგ, **„ქარტია“** კი დამატებით აკანონებს კიდევ ერთ რამეს, რომ რეგიონალური ენების განვითარება არ უნდა მოხდეს სახელმწიფო ენის ხარჯზე... ე.ი. შენიც გქონდეს, მაგრამ სახელმწიფო ენასაც პატივი ეცი და ისწავლეო... იქნებ ევროპულ დოკუმენტზე დაყრდნობით აჯობებდა ამ ჩვენი თანამოქალაქეებისთვის ქართულის სასწავლებელი მოტივაციის გაჩენა...

მალხაზ ხარბედია -„იმედია გვანცელაძე-ფუტკარაძე-მეუფე ანანია ვერ მოახდენენ გავლენას მეგრული ვიკის ინკუბატორიდან გამოსვლა-არგამოსვლის საკითხზე...“

სამწუხაროდ ბატონო მალხაზ ბევრ რამეზე ახდენენ გავლენას თქვენს მიერ ჩამოთვლილი ადამიანები... ეს ბრიყვული წერილიც **„კვირის პალიტრაში“** და უფრო სულელური ტელერეპორტაჟებიც მათი სინდისზეა...

მათი აზრით, ხომ ქართველები იმიტომ ვართ სამეგრელოს მკვიდრნი, რომ მეგრული დიალექტია...

„ქართველი ხალხის შიდა კონსოლიდაცია“ ყოფილა დასაჩქარებელი და ამას მეგრული ენის არსებობა უშლის ხელს...

თუ ჩვენ არ გავცემთ ყველაფერ ამას საკადრის პასუხს, მაშინ მართლა ღვინჯილია შეეცდება ამას...

„კვირის პალიტრის“ უნიჭო კორესპოდენტების ჭკვიან რესპოდენტს დავესესხები **„ჩემი სვანობით ვართ ქართველიო“** – აგაშენა ღმერთმა მეც მანდა ვარ, მაგრამ ერთი ოღონდ... რამდენი ხანი შერჩება ეგ სვანობა ბატონ საღლიანს ლამის დაცარიელებული სვანეთის სოფლებისა და სულ უფრო ნაკლებად სვანურად მოლაპარაკე მოზარდებისა თუ ბავშვების ფონზე...

მეც ჩემი მეგრელობითა ვარ ქართველი და ამიტომაც ორივე მეგრულიცა და ქართულიც დედა ენაა ჩემთვის და სამეგრელოს სხვა შვილებისთვისაც და ისიც არ ვიცი რომელი უფრო მშობლიურია.

ნორმალური ადამიანი ბავშვს არ კითხავს – დედა უფრო გიყვარს თუ მამაო... საკითხავია ოღონდ რამდენ ხანს იარსებებს მეგრული ენა კიდევ: ხომ ფაქტია, რომ ბოლო თუნდაც 80 წლის განმავლობაში იმდენი ლექსიკა დაიკარგა ან ამოვარდა ხმარებიდან , რაც არ დაკარგულა მანამდე ათასწლეულების განმავლობაში: გეოგრაფიული არეალი, ენის მოხმარების სიხშირე , მიგრაციული პროცესები , ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვის შემცირება და ასე შემდეგ... ეს არის გლობალიზაციის თანმდევი პროცესები...

რა ვქნათ ახლა მეუფე ანანიას, ფუტკარაძე/გვანცელაძისა და მათი მიმდევრების შიშით არ გავაკეთოთ არაფერი და ველოდოთ, სანამ - **„შური გეშალუ მარგალურს“...**

გია ოკუჯავა
გერმანიაში მოღვაწე ენათმეცნიერი

ქართულ-აფხაზურ შერეულ ოჯახებს დახმარება სჭირდება

არასამთავრობო ორგანიზაცია **„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“** უსახსრობის გამო ვერ ფუნქციონირებს.

ეს ორგანიზაცია 2003 წელს დაარსდა და ამ ხნის განმავლობაში 4000-მდე ქართულ-აფხაზური ოჯახის წარმომადგენელი, ქართველი და აფხაზი ნათესავები შეახვედრა ერთმანეთს.

მრავალი შეხვედრა ჩატარდა ენგურისპირა სოფლებში, რომლებსაც ქართველები, აფხაზები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა რეზო ბენდელიანმა განაცხადა, მის წინაშე ყოველთვის იდგა დაფინანსების პრობლემა. მას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებდნენ _ ბოლოს კონრად ადენაუერის ფონდის მიერ იყო დაფინანსებული.

ისეთ ორგანიზაციას, როგორც **„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახებია"**, რომელიც მამულიშვილურ საქმეს აკეთებს და რომელსაც შეუძლია უდიდესი როლის შესრულება ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარებაში, სახელმწიფოსაგან თანადგომა და დახმარება სჭირდება და მარტო საერთაშორისო ორგანიზაციების იმედზე არ უნდა იყოს.

რეზო ბენდელიანი იმედოვნებს, რომ მომავალი წლის თებერვლისთვის შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას.

სააგენტო „საქინფორმი“



სერგეი კრემლიოვი

ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

და აი, საკმაოდ ჭკვიანი ადამიანი აუკანკალებელი ხელით წერს სისულელეს, თანაც ისე, რომ თავად ვერ ხვდება, თუ როგორ დიდებულად წარმოაჩენს ბერიას არაორდინალურ საქმიან თვისებებს, რადგან ინტრიგანი და სულმოკლე პოლიტიკური ავანტურისტი ნამდვილად ვერ მოახერხებდა იმდენის გაკეთებას, რაც მოახერხა და გააკეთა ბერიამ. ვიღაც იტყვის: **"აბა, გაებედა და მაღალეფექტურად არ ემუშავა სტალინთან!"** მაგრამ სტალინთანაც ხომ ყველანი ისე ვერ მუშაობდნენ, როგორც მუშაობდა ბერია? სხვა შემთხვევაში, სტალინი ბერიას ხომ არ გადაუნაწილებდა მათ ფუნქციებს? მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ბერიას მიერ კურირებულ სფეროში საქმეებს სტალინი არასდროს დაავალებდა სხვა ვინმეს.

შედარებით გვიან მკითხველი გაეცნობა **"ატომურ"** სიტუაციებს, სადაც მუზრუკოვი არაერთგზის შეეჩეხა ბერიას და ამ შეხვედრათა აღწერა კიდევ უფრი აამაღლებს ლავრენტი ბერიას ჩვენს თვალში. მაგრამ მე შემიძლია მოვიყვანო სამხედრო საქმეებში მისი მონაწილეობის მკაფიო შედეგები...

ერთხელ ბერიამ დაურეკა მუზრუკოვს და დაინტერესდა, იყო თუ არა ტანკების მწარმოებელ **"ურალმაშის"** ქარხანაში წნეხი და ამავე დროს აცნობა, რომ მეორე დღეს მასთან ჩავიდოდა ავიაინჟინრების ჯგუფი სათანადო ნახაზებით, რათა სასწრაფოდ დაემზადებინათ ყალიბები თვითმფრინავების ხრახნების საწარმოებლად. ყალიბი გახლდათ გლუვი ჰაერდინამიკური ჩაფხუტი, რომელიც წინა მხრიდან კეტავდა ხრახნს. სხვაგვარად სამხედრო თვითმფრინავებს ვერ გამოუშვებდნენ.

მუზრუკოვმა გააპროტესტა: მძლავრი წნეხი კი მაქვს, მაგრამ იგი ტანკებისთვისაა განკუთვნილი და მეტად ზანტია, დატვიფვრისათვის კი საჭიროა ბევრად სწრაფმომქმედი წნეხი. ბერიამ მკაცრად გააწყვეტინა მას და აუხსნა, რომ ამ წნეხის გარეშე ფრონტისათვის თვითმფრინავებს ვერ გამოუშვებდნენ, ავიაციისათვის საჭირო წნეხები კი საევაკუაციო ორომტრიალის დროს დაიკარგა.

დაიწყეს ყალიბების დატვიფვრა, თუმცა მუზრუკოვმა კარგად იცოდა, რომ ამ საქმეს კეთილი დასასრული არ უჩანდა. გამორიცხული არ იყო, რომ ბერია ღრმად ვერ ჩასწვდომოდა წმინდა ტექნოლოგიურ საკითხს, მაგრამ საავიაციო ინჟინრებს ხომ უნდა სცოდნოდათ, რომ მუზრუკოვის წნეხით დატვიფრული ყალიბები თვითმფრინავების ხრახნების გამოსაშვებად არ ივარგებდა და მალე გამოვიდოდა მწყობრიდან. მაგრამ მათ არ გამოიყენეს სხვა შესაძლებლობები და ალაბედზე ამოქმედდნენ. ამ შემთხვევაში კი თავი უნდა შეიკავონ იმ **"ობიექტურმა"** მემატიანეებმა, რომლებიც აღნიშნულ კონფუხს ბერიას არაკომპეტენტურობას უკავშირებენ.

წნეხის მთავარი ცილინდრი, გარკვეული დროის შემდეგ, რა თქმა უნდა, მწყობრიდან გამოვიდა. ახლა კი **"ურალმაშს"** აღარ შეეძლო ფრონტისათვის ტანკების მიწოდება. მუზრუკოვი საგანგებო ტელეფონის ხაზით უკავშირდება ბერიას. შუაღამეა, მაგრამ ბერია მაშინვე იღებს ყურმილს.

"მოვახსენებ არსებული მდგომარეობის თაობაზე... – იხსენებს მუზრუკოვი, – **იგი ჩუმად მისმენს, შემდეგ კი მეკითხება: "სად არის მეორე წნეხი?"... ვპასუხობ, რომ წარმოდგენა არა მაქვს** (მეორე წნეხი ურალში გამოგზავნეს ნოვო-კრამატორსკის ქარხნიდან, მაგრამ იგი სადღაც გზაში გაიჩხირა – ს.კ.). **"აბა, შენ რისი დირექტორი ხარ, ეშმაკმა დაგლახვროს! – ყვირის ბერია, – თუ შენ არ იცის, სად არის ამჟამად შენი ქარხნის მისამართით გამოგზავნილი წნეხი!". მან ყურმილი დასდო. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა დილით მესტუმრნენ სვერდლოვსკელი ჩეკისტები და მაცნობეს, თუ რომელ ეშელონში იყო ჩატვირთული ნოვო-კრამატორსკიდან გამოგზავნილი წნეხი და მისი მარაგნაწილები. დღემდე ვერ გამიგია, თუ როგორც შესძლო ამ ადამიანმა საევაკუაციო ორომტრიალში, ასობითი ეშელონს შორის, სულ რამდენიმე საათში აღმოეჩინა ჩვენთვის ესოდენ საჭირო წნეხი. ამ წნეხიან ეშელონს მწვანე შუქი აუნთეს და იგი ერთ კვირაში ჩავიდა დანიშნულების ადგილზე, მგონი ორიოდ კვირაში კი მთავარი ცილინდრი გამოცვალეს..."**

ამ ისტორიიდან კარგად ჩანს ბერიას ნამდვილი სახე, რომელსაც შეეძლო არა მხოლოდ მკაცრად მოეთხოვა, არამედ დიდი დახმარებაც გაეწია, რომელსაც შეეძლო ეღიარებინა საკუთარი შეცდომა და თავადვე გამოესწორებინა იგი.

დავფიქრდეთ! თვით **"ურალმაშიც"** კი, თავისი განუსაზღვრელი მასშტაბებით, ბერიასათვის ერთ-ერთი რიგითი პრობლემა გახლდათ. ვერ მოახერხეს ქვეშემრდომებმა ბერიას დავალების შესრულება წნეხის დროულად გადმოტვირთვის თაობაზე? თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრს თავისუფლად შეეძლო გაეთამაშებინა სცენა, რომ იგი არაფერ შუაშია – დაე მუზრუკოვმა თავად აგოს პასუხი ამგვარ ჩავარდნაზე, რახან **"დავალების შესრულება ვერ შესძლო!.."**

ლავრენტი ბერიამ კი, რომელზეც ამ აბურდული საქმის დანაშაულის გარკვეული წილი მოდიოდა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პირადად მუზრუკოვი და მთლიანად **"ურალმაში"** მოულოდნელად წარმოქმნილი გასაჭირისაგან დაეხსნა. ტანკების გამოშვებაც არ შეწყვეტილა!

ეშელონებს, რა თქმა უნდა, პირადად ბერია არ ეძებდა – სხვები ეძებდნენ, მაგრამ მისი დავალებით. სწორედ მისი დავალებით იპოვეს, მაგრამ საკითხავია, შესრულდებოდა კი ასე პედანტურად სხვების მიერ გაცემული დავალება?

ვერ გეტყვით, იპოვნიდნენ თუ არა!

მაგრამ საქმე გახლდათ არა სსრკ შინსახკომისა და პირადად ბერიასადმი შიშში. სხვა ხელმძღვანელებსაც შეეძლოთ ბერიაზე არანაკლებ მკაცრად დამუქრებოდნენ ხელქვეითებს და არც ბერიაზე ნაკლები სამხედრო რწმუნებულება გააჩნდათ. მაგრამ, მათ აპარატს შეეძლო ისევე ჩაკარგულიყო ეშელონთა ორომტრიალში, როგორც წნეხი ჩაიკარგა. ბერიას აპარატი კი ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა. იმიტომ, რომ ბერიას გარშემო თავს იყრიდნენ მხოლოდ კომპეტენტური კადრები, რადგან იგი ორგანულად ვერ იტანდა არაკომპეტენტურებს.

ევაკუაციის საბჭოს წევრებზე, სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა.ნ. კოსიგინზე, სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარ ვ.ა. მალიშევზე, საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ.ა. ვოზნესენსკიზე ამბობდნენ, რომ მათ ყოველთვის იცოდნენ სად რომელი ეშელონი იდგა და საით მიემართებოდა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში მუზრუკოვმა დაურეკა არა **"ტანკების"** სახალხო კომისარ მალიშევს, არამედ ლავრენტი ბერიას.

რატომ?

იმიტომ, რომ მალიშევი მას ან დაეხმარებოდა, ან თავზე რისხვას დაატეხდა და მთლიანად **"ურალმაშის"** დირექტორს დააბრალებდა ტანკების წარმოებაში წარმოქმნილ შეფერხებებს. ბერიას დახმარებაში კი მუზრუკოვი დარწმუნებული იყო! ღრმად სწამდა, რომ ლავრენტი პავლეს ძე მას გაუგებდა... გაუგებდა და დაეხმარებოდა!

ამ სტრიქონებს რომ ვკითხულობდი, მე მსგავსი რაღაც გამახსენდა, ოღონდ სულ სხვა სფეროდან. 1942 წელს შვეიცარიაში სსრკ შინსახკომის სადაზვერვო ქსელის ლეგენდარულმა რეზიდენტმა ბორის რიბკინ-იარცევმა (კინმა), რომელიც საელჩოს მრჩეველის სახელს ამოფარებული მოქმედებდა, და მისმა მეუღლემ და თანამშრომელმა, ჩვენთვის ნაცნობმა ზოია რიბკინა-ვოზნესენსკაიამ ცენტრიდან მიიღეს ოპერატიული დავალება, რომ კავშირი დაემყარებინათ ბერლინის **"წითელ კაპელასთან"**. სათანადო კანდიდატურაც მალე მოიძებნა – შვედი მრეწველი, რომელიც რუს ემიგრანტ ქალზე იყო დაქორწინებული და მისი კომერციული საქმის საჭიროებიდან გამომდინარე, ხშირად ჩადიოდა ბერლინში. მიიღო რა ოპერატიული ფსევდონიმი **"დირექტორი"**, მან დავალება შეასრულა, თუმცა არა პირველივე ცდაზე – იგი გამოუცდელობამ დააღალატიანა. და უცებ ცენტრიდან ჩამოდის **"წითელი კაპელას"** ყველა წევრის დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის ბრძანება. ცენტრი მიიჩნევდა, რომ ეს დირექტორის პროვოკაციის შედეგი გახლდათ და მისი შემოწმებისათვის კინს გაეგზავნა დირექტივა იმის თაობაზე, რომ კვლავ გაეგზავნა ეს მეკავშირე იმ **"ორეულთან"** კავშირის დასამყარებლად, რომლის გერმანელებთან თანამშრომლობის თაობაზე ცენტრს უტყუარი ინფორმაცია გააჩნდა.

სიტუაციის გაანალიზების შემდეგ რიბკინი და ვოზნესენსკაია იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ **"დირექტორი"** წესიერი ადამიანი იყო და ბერლინში მისი გაგზავნა სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იქნებოდა.

"ჩვენ დაჟინებით ვცდილობდით, რომ ცენტრისათვის ჩვენი სიმართლე დაგვემტკიცებინა. – იხსენებდა შემდეგ ვოზნესენსკაია. – **მოვიდა ბრძანება: "შეასრულეთ მითითება!" ჩვენ კვლავ მოვითხოვეთ, რომ ყველაფერი აწონ-დაწონილიყო. პასუხად, უხეშად დაგვიყვირეს. მაშინ გადავწყვიტეთ, რომ სახალხო კომისარისათვის მიგვემართა. ვთხოვეთ შეცვლილიყო მთავარი სამმართველოს განკარგულება, რათა ადამიანი სასიკვდილოდ არ გაგვეწირა. ორიოდ დღეში პასუხი მოვიდა. დირექტორი ბერლინში აღარ წავა და მასთან ყოველგვარი კავშირი შეწყდება"**.

"სახალხო კომისარი" კი ლავრენტი ბერია გახლდათ. ის, ვისაც **"დემოკრატთა"** გენერალი ვოლკოგონოვი სისხლისმსმელ ჯალათად და უსულგულო ურჩხულად მოიხსენიებს. რეალური ბერია კი გახლდათ მეტად ბრძენი, გულთბილი და ყურადღებიანი ადამიანი. იცოდა რა კინმა ამის თაობაზე, იმიტომ აუარა გვერდი მის უშუალო უფროსობას და პირადად სახკომს მიმართა.

რახან ამ საკითხით გავერთე, უნდა გავიხსენო ისიც, რომ გაოცებული დავრჩი ბუხარინის ქვრივის – ლარინას მოგონებებით, სადაც გადმოცემულია მისი შეხვედრა ლავრენტი ბერიასთან, ლუბიანკაზე, 1939 წელს. თავს ვერც ბუხარინის ქვრივი აღწევს იმის ცოუნებას, რომ ბერია **"სატრაპად"** მოიხსენიოს, მაგრამ, მისდა უნებლიედ, მისი ბერიასთან დიალოგის წყალობით, ამ ადამიანს წარმოგვიდგენს ბრძენ და ყურადღებიან პიროვნებად, რომელსაც ჭეშმარიტად ეცოდება ის 15 წლის გოგონა, რომელიც მის ოჯახში ყოფნისას არაერთხელ უდღეგრძელებია სასმისით ხელში.

მაგრამ, მოდით კვლავ დავუბრუნდეთ ომის წლებსა და ბ.გ. მუზრუკოვს. ტორმასოვის გადმოცემიდან ვგებულობთ, რომ ერთხელ ბერიამ საგანგებო სატელეფონო ხაზით ისე გამოთათხა მუზრუკოვი, რომ ბორის გლების ძემ გადაწყვიტა – ველარაფერი მიშველის და ალბათ დამაპატიმრებენო. იგი სახლში წასასვლელად გაემზადა, რათა ოჯახის წევრებს გამომშვიდობებოდა... აი, მან პალტო ჩაიცვა, კარებთან დადგა, რომ ამ დროს საგანგებო ხაზზე მიერთებულმა ტელეფონმა დარეკა. მუზრუკოვმა ყურმილი აიღო...

ბერია...

– რას აკეთებ?

– ჩასაჯდომად ვემზადები...

– მუშაობაა საჭირო, – მოისმა ყურმილში და ბერიამ კავშირი გათიშა.

ამას რომ ვკითხულობ, მახსენდება მოთხრობა იმის თაობაზე, თუ საბჭოთა რაკეტების მთავარი კონსტრუქტორი სერგეი პავლეს ძე კოროლიოვი ზოგჯერ როგორ ხსნიდა თანამშრომლებს დღეში სამჯერ!

მიმდინარეობს ურთულესი სამონტაჟო სამუშაო, ირღვევა გრაფიკი და საამქროს უფროსს ესმის კოროლიოვის მყიფე ხმა: **"ნახვამდის! შენ მოხსნილი ხარ თანამდებობიდან!.."** გადის ორიოდ საათი და იგივე საამქროს უფროსს ესმის: **"მე შენ საყვედურს გიცხადებ..."**

აქ საამქროს უფროსი სიცილს ვედარ იკავებს:

– უფლება არა გაქვთ, სერგეი პავლეს ძევ!

– როგორ თუ უფლება არა მაქვს? სასტიკ საყვედურს გიცხადებ!

– უფლება არა გაქვთ-მეთქი... თქვენ ხომ დღეს მომხსენით დაკავებული თანამდებობიდან...

და ორივენი გულიანად იცინიან.

ემოციური და ყოველდღიური საზრუნავით უზომოდ დატვირთული ადამიანებისათვის ამგვარი აფეთქება შესაძლებელიცაა და იოლად ასახსნელიც. ეს ხომ არაა საწერ მაგიდასთან რაღაცის ჯდაბვნაა, ეს სამუშაოა... ისეთი, რომ ზოგჯერ ყელამდე ჩაეფლობი ხოლმე სამუშაოში ამასთან, ყელამდე ეფლობი არა იმიტომ, რომ ეს სამუშაო შენთვის უბრალო ჰობია, არამედ იმიტომ, რომ მისი მომძლავრება ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევს! მაგრამ, როცა ამას სწერენ კოროლიოვზე, ყველას ნაზი გრძნობა ეუფლება: ხედავთ, თურმე რა საყვარელი ადამიანი ყოფილა! სინამდვილეში სერგეი პავლეს ძეს ხომ მართლაც არავინ მოუხსნია დაკავებული თანამდებობიდან!

ლავრენტი პავლეს ძის მიმართ კი ამგვარი ნაზი გრძნობა არავის ეუფლება... აქ მოდუნება და ლირიკა არ შეიძლება – იგი ხომ **"ურჩხული"** იყო, **"სისხლისმსმელი"**... მაგრამ ლავრენტი პავლეს ძესაც ხომ არავინ ჩაუგდია ჯურღმულში, თუნდაც სამუშაოს **"ჩაგდებისათვის"**? არც მუზრუკოვი, არც მალიშევი, არც ვანნიკოვი, არც მთავარი საავიაციო სამმართველოს უფროსი იაკოვლევი, არც ავიაკონსტრუქტორი იაკოვლევი, და იგი არც არავის ჩასვამს ციხეში...

ვიღაც, რა თქმა უნდა, იჯდა, მაგრამ არა ბერიას მიზეზით! თუნდაც ბერიას ისეთი ცილისმწამებელი, როგორიცაა თავდაცვის სახალხო კომისრის პირველი მოადგილე ნოვიკოვი (ჩვენ მას მალე გავიცნობთ), უკვე **"პერესტროიკის"** პერიოდში აღიარებდა, რომ ომის დროს, მას შემდეგ, რაც **"ჩვენ აღმოვჩნდით უშიშროების სისტემის სფეროს გავლენის ქვეშ, ნებისმიერი რანგის ქარხნის მუშაკების დაპატიმრებები პრაქტიკულად შეწყდა"**.

ყოფილი სახალხო კომისარი მალიშევი კი, 1953 წლის **"ანტიბერიასეულ"** პლენუმზე მისდა უნებლიედ **"გამოტყდა": "ჩვენ გვეგონა, რომ ადამიანი დიდ საქმეებს აკეთებდა, ცხარობს, ალბათ ასეა საჭირო... რა თქმა უნდა, ჩვენ მის ავტორიტეტსაც ანგარიშს ვუწევდით, უცოდველად ვთვლიდით მას და ზოგჯერ მისი გვეშინოდა კიდეც..."**

ესე იგი, არა *ყოველთვის,* არამედ **ზოგჯერ ეშინოდათ** ხოლმე...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შენგელია 75 წლისაა

ბატონო გიორგი!

საზოგადოება "ზუგდიდელი" გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 75 წლის შესრულებას და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად!

75 წელი სოლიდური ასაკია, მაგრამ თქვენნაირი შრომისმოყვარე პიროვნებისათვის, მაშინ, როდესაც მართლაც უნაკლოდ გამოიყურებით, ცოტად გვეჩვენება. თქვენ 75 წელი იცხოვრეთ კაცურად და დღემდე თქვენს მიერ გამოვლილი გზა სამაგალითო და მისაბაძია ყველასათვის.

ბატონო გიორგი! თქვენი ცხოვრების გზის დასაწყისი არ გახლდათ მთლად მარტივი და იოლი. უმამოდ გაზრდილი კახათელი ყმაწვილის სიჭაბუკიდან დღემდე განვლილი გზა იყო ეკლიანიც, მწარეც და ტკივილიანიც, მაგრამ ყოველთვის უანგარო და სუფთა. საშუალო სკოლის და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ასევე წარმატებით მუშაობდით ზუგდიდის კომუნალურ მეურნეობაში ინჟინრად, საიდანაც დაგაწინაურეს ზუგდიდის მთავარ არქიტექტორად. შემდეგ "ენგურჰესში" მუშაობდით პასუხისმგებელ თანამდებობებზე. 2005 წლიდან დღემდე კი მოღვაწეობთ ფირმა "ბადაგონში".

სადაც კი გიმუშავიათ, ყველგან დიდი სიყვარული და აღიარება მოიპოვეთ. მეტად საინტერესო და მისაბაძი კი ის არის, რომ მუსიკა, სიმღერა, ხელოვნება, სპორტი, დრამატურგია, და მთარგმნელობა თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია. მარტო ის რად ღირს, რომ თქვენი ორი პიესა დაიდგა შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში. თქვენს მუსიკაზე შექმნილი და თქვენს მიერ შესრულებული სიმღერები უკვე ნახევარი საუკუნეა ჟღერენ. სასიხარულოა, რომ კვლავაც აგრძელებთ შემოქმედებით საქმიანობას! თქვენ მეგრულიდან ქართულად თარგმნეთ მეგრული პოეზიის რაინდის ლაშა გახარიას ლექსების წიგნი "ირიათონი". რუსულიდან მეგრულ ენაზე თარგმნეთ პუშკინისა და ომარ ხაიამის 250-ზე მეტი შედევრი, ქართულიდან მეგრულად ნათარგმნმა ი. ჭავჭავაძისა და გ. ტაბიძის ლექსებმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სამწუხაროა, რომ ხელოვნებაში თქვენი ღვაწლი ჯეროვნად არ არის შეფასებული.

ქალაქი ზუგდიდი და საზოგადოება "ზუგდიდელი" ამაყობს თქვენით. თქვენ, თქვენი მოღვაწეობით ბევრი რამ გაგიკეთებიათ ზუგდიდისათვის. ვფიქრობთ, მომავალშიც ასე იქნება.

თქვენი ძვირფასი ოჯახითაც საამაყო ბრძანდებით. მეუღლე, ქალბატონი ია ყოველმრივ განათლებული და ხელოვანი ბრძანდება, ბიჭები კი სასახელონი. დიდხანს იცოცხლეთ, იხარეთ, ზუგდიდის კოლორიტო, ბატონი გიორგი!

საზოგადოება "ზუგდიდელის" სახელით

ოთარ ფაცაცია.

გალაქტიონ ტაბიძე

(თარგმანი გიორგი შენგელიასი)

"წანეფ მიდულა ჯვეში, მავლარი
მასქურ დითირუ თაქ წალიკონით,
მუჭოთ ართი რე ქიანა თარი,
თეში ართი რე გალაქტიონი".

/"წელიწადები წავლიან ძველი"/

ილია ჭავჭავაძე
ბედნიერი ერი

(ქართულიდან თარგმნა გიორგი შენგელიამ)

ჩქინიშნერი ბედინერი
სოთინ რენო შხვადო ერი?!
მონკა ვალით,
სქვამ ოდალით
მონწყილი დო თოლიერი.
თვინიერი
ნარქკილერი,
პუხდირაკილი, მარდიელი.
ბანჩალია,
ქვათალია,
რიდიანი, წესიერი,
ართო ბენი,
მუთ ჯორ-ცხენი,
ნახენდა დო ჭყანიერი.
ჩქინიშნერი ბედინერი
სოთინ რენო შხვადო ერი?!
არძა – ღალა,
მუნჯი – ჩალა,
გურჩქიჩქი დო ლიბუერი,
თოლჭუტილი,
დუდკუჭილი,
პიც ლაგამი ჩხენტიერი.
არძა ყუნგა,
არძა ჩუნგა,
ართნერჭკვერი, გურმაჭვერი.
ჭიჭე თარი,
ქართაყანი,
ცუხი, ცინცი, კილიერი.
ჩქინიშნერი ბედინერი
სოთინ რენო შხვადო ერი?!
მტვერმერღვაფილი,
დუდმერჩაფილი,
ძიკალი დო იმპუშნერი.
ურძღაფელა
უჩამელა
გიმნარაგვე, უნდობელი.
მტერუჩინე,
კერძმაწყინე,
გალე ზურა, ყუდეს გერი,
გოღილატირ,
ტვინსქირაფილ,
გილადვალირ, ნაშქირენი.
ჩქინიერი ბედინერი
სოთინ რენო შხვადო ერი?!

აფხაზების გარეშე აფხაზეთი არ გვჭირდება!

(კონსტანტინ ოზგანმა საქართველოს უხუცესთა საბჭოს მიმართვას უპასუხა)

2010 წლის 11 ნოემბერს საინფორმაციო-ანალიტიკურმა სააგენტო საქინფორმმა მკითხველს შესთავაზა პუბლიკაცია **„ჟამი ქვების შეგროვებისა“**, რომელიც შეიცავდა საქართველოს უხუცესთა საბჭოს მიმართვას დღეგრძელი აფხაზებისადმი. **„... ჩვენ შეგვიძლია და გვსურს, ერთობლივად შევიმუშაოთ მოქმედების გონივრული პროგრამა, რომელიც ურთიერთნდობის ზრდასთან, ჩვენი ხალხების შერიგებასა და ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების მრავალწლიანი ისტორიის მახასიათებელი ტრადიციული ღირებულებების აღორძინებასთან მიგვიყვანს. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას ბრალეულობის ნაწილობრივ აღიარებაზე იმის გამო, რაც მოხდა.**

რა თქმა უნდა, შეიძლება უსასრულოდ ვუსაყვედუროთ ერთმანეთს დაშვებული შეცდომების გამო, მაგრამ ეგებ უკეთესია, ჩვენი ძმური ურთიერთობების ისტორია გავიხსენოთ, რისი მაგალითების სათვალავიც არ გვაქვს. ჩვენ იმედითა და ოპტიმიზმით შევცქერით მომავალს და ამიტომაც ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მიმართვა და შერიგებისა და მეგობრობის აღდგენისკენ გამოწვდილი ხელი უპასუხოდ არ დარჩება!“ – ნათქვამია ხსენებულ მიმართვაში.

წარმოიდგინეთ, ეს მიმართვა ადრესატამდე მივიდა! მას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს ხელმძღვანელი კონსტანტინ ოზგანი. ახლახან საქართველოს უხუცესთა საბჭოს მორიგ სხდომაზე საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის კორესპონდენტს გააცნეს ოზგანის პასუხის აუდიოჩანაწერი საქართველოს უხუცესთა საბჭოს მიმართვაზე, რომელთაგან ბევრი, უნდა ითქვას, რომ წარმომავლობით აფხაზეთიდანაა. ერთ-ერთი რუსული რადიოკომპანიის კორესპონდენტთან საუბარში ოზგანმა თქვა: **„ჩემთვის ცნობილია ამ მიმართვის შინაარსი, თუმცა მიმაჩნია, რომ მან ძალიან დაიგვიანა. სიმართლე გითხრათ, ის ჯერ კიდევ 1992 წლის აგვისტოში უნდა გაჟღერებულიყო, მაშინ, როცა აქტუალური იყო. საინტერესოა, სად იყვნენ ისინი მაშინ, რატომ დუმდნენ?! დღეს ჩვენ სხვა რეალობა გვაქვს, ამიტომ მთლად გასაგები არაა ამ მიმართვის გამომწვევი მიზეზი. ვუშვებ, რომ ეს პასუხია ჩვენს განცხადებაზე, რომელიც აფხაზპრესის ინტერნეტ-საიტზე გამოქვეყნდა. იგი ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზის საფუძველზე გაკეთდა, სადაც მკაცრ კრიტიკას დაექვემდებარა რუსეთის პოზიცია. უფრო მეტიც, ცალკეულ ქართველ ექსპერტთა აზრით, აფხაზი პოლიტიკოსები აშკარად გამოხატავენ უკმაყოფილებას რუსების მოქმედებათა გამო, რითაც სასურველს სინამდვილედ ასაღებენ. პასუხად ერთი რამის თქმა შემიძლია: მშვიდობის ერთადერთ გარანტად ხალხი მხოლოდ რუსეთს მიიჩნევს და სწორედ ამითაა გამოწვეული ქართული მედიის აღშფოთება. რაც შეეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განთავსებას, მათი არსებობა ჩვენთან შესაძლებელია მხოლოდ ხალხის ნებით. ჰოდა, რაზე ვისაუბროთ ასეთ შემთხვევაში? დამეთანხმეთ, რომ საუბრის თემის წინასწარ არცოდნის პირობებში, მოლაპარაკებათა მაგიდასთან არ სხდებიან. სხვა საქმეა, თუ საქართველო ჩვენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას აღიარებს. მოსალაპარაკებლადაც მაშინ დავსხდეთ! იმის შესახებაც ვისაუბროთ, თუ როგორ განვავითაროთ მომავალში ნათესაური და მეგობრული კავშირები და მოვაგვაროთ სხვა მრავალი პრობლემა, რასაც ასე იჟინებენ ჩვენი კოლეგები საქართველოს უხუცესთა საბჭოდან. ამაში მდგომარეობს ჩვენი განცხადების არსი, რამაც, ჩემი აზრით, ჩვენდამი ქართული მხარის მიმართვის სტიმულირება მოახდინა...“**

კონსტანტინ ოზგანის პასუხის აუდიოჩანაწერი საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის კორესპონდენტმა ხსენებული მიმართვის ავტორებთან ერთად მოისმინა. საგულისხმოა, რომ უხუცესების რეაქცია მასზე ერთმნიშვნელოვნად მშვიდი და გონივრული იყო: ***„იმთავითვე ვიცოდით, როგორ გვიპასუხებდა ოზგანი. პრინციპში, სხვა რა შეეძლო ეპასუხა?!“*** – ჩაერთო საუბარში მამანტი ჯოლია, გადამდგარი პოლკოვნიკი, ჩვენი უხუცესების ერთ-ერთი ლიდერი. ***„საბედნიეროდ, აფხაზ დღეგრძელთა, თავის მხარეში ავტორიტეტულსა და ხელისუფლებასთან კავშირში არმყოფ ხალხს შორისაც არიან გამჭრიახი გონების, პრაგმატული ადამიანები. მათ კეთილ ნებასა და შეგნებაზე დაყრდნობთ ვაპირებთ სწორედ მომავალში ჩვენი მუშაობის გაგრძელებას. დასახული მიზნიდან გადახვევა ჩვენს პროგრამაში არ შედის. ამიტომ დასაწყისისათვის მინდა მივმართო აფხაზეთში ნაომარ ჩვენს თანამემამულეებს: არიან თუ არა მზად, ნებაყოფლობით თქვან უარი აფხაზეთის ომში გამოჩენილი სიმამაცისა და ვაჟკაცობისთვის მიღებულ ორდენებზე, რათა ჯილდოები სახელმწიფოს დაუბრუნონ? ეს აზრი დიდხანს მიღრღნიდა გულს და გადავწყვიტე, იგი თქვენს სამსჯავროზე გამომეტანა. საეჭვოა, სიამაყით ატარო ორდენები, რომლებიც ძმათამკვლელ ომში მიიღე. ასეთ ვითარებაში შერიგებაზე საუბარი უაზრობაა. რაც შეეხება კონსტანტინ ოზგანის საყვედურს – აქაოდა, სად იყვნენ ცხელ 1992 წელსო – როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ სწორედ მაშინ ქართული მხარის მხარდაჭერით მიღებული იქნა ახალი საარჩევნო კანონი, რომლის წყალობითაც აფხაზებმა პარლამენტში უმრავლესობა მიიღეს, რაც უმალვე გამოიყენეს კიდეც“,** – შეახსენა შეკრებილებს ქართველ უხუცესთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, აფხაზეთის ენერგოქსელის ყოფილმა ხელმძღვანელმა კონსტანტინე მარშავამ.

აფხაზებისადმი ქართველთა ძმურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომელიც აღნიშნული სხდომის მონაწილეს, პროფესორ ოთარ ვახანიას უკავშირდება. პატივცემული ოთარი სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორობისას, უმაღლესი სასწავლებლის აფხაზურ და ქართულ ნაწილებად დაყოფის პერიოდში, სამუშაოდ აფხაზურ მხარეს დარჩა. დღევანდელი გადასახედიდან პროფესორ ვახანიას საქციელი მაღალი მოქალაქეობის აქტად წარმოჩინდება, რაც ღირსეულად უნდა დაეფასებინათ, უპირველესად, თავად აფხაზებს. დასამახსოვრებელი იყო მონაწილეთა გულწრფელი, ყოველგვარ ფარისევლობასა და ორაზროვნებას მოკლებული ბევრი სხვა გამოსვლაც სხდომაზე.

„...აფხაზების გარეშე აფხაზეთის ტერიტორია არ გვჭირდება! ჩვენ მათი გულების მშვიდობიანი ოკუპაციის მომხრე ვართ! და ეს, უპირველესად, ნამდვილად პატიოსანმა და ნებისყოფიანმა კაცმა, თავად ოზგანმა, უნდა გააცნობიეროს, ვისზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. ჩვენი უხუცესთა საბჭო არასამთავრობო ორგანიზაციაა და ჩვენ გავაგრძელებთ იმის კეთებას, რისი მოვალენიც ვართ. უპირველეს ყოვლისა, ეს სახალხო დიპლომატიის ახალ, უფრო მაღალ პოლიტიკურ დონეზე აღორძინებაა, რის გარეშეც, ჩვენი აზრით, შეუძლებელია აფხაზთა დაბრუნება ჩვენი საერთო ოჯახის წიაღში. ბევრი მაგალითი ვიცით, როცა აფხაზეთში ნაომრებმა უარი თქვეს კანონით კუთვნილ პენსიებსა და შეღავათებზე, რასაკვირველია, იმის გამო არა, რომ ეს ფული არ სჭირდებოდათ!“ - უთხრა საუბარში საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის კორესპონდენტს კიდევ ერთმა წარმოშობით აფხაზმა – თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ, პროფესორმა ნოდარ ემუხვარმა: ***„აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში აფხაზურ და ქართულ ოჯახებად დაყოფა ერთობ პირობითია, რადგან კარგადაა ცნობილი, რომ მათგან ნახევარი შერეული ოჯახებია, ისევე, როგორც არ არსებობს ოჯახი, უახლოეს ნათესავებს შორის რომ არ ჰყავდეს აფხაზებიცა და ქართველებიც. სწორედ ამიტომ, ჩვენი შერიგება გარდუვალია. ჩემის აზრით, აფხაზებთან კეთილი ურთიერთობების აღსადგენი უმოკლესი გზა აფხაზეთში დარჩენილ ახლობლებთან – ნათესავებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან – მტკიცე კავშირების დამყარებაა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს სიტყვას შეისმენენ! ამის კარგ მიზეზად, შესაძლოა, დამდეგი ახალი წელიც იქცეს. ყველამ უნდა ვიჩქაროთ მათთვის მილოცვა. თავადაც კარგად იცით. გავიმეორებ, თუმცა გულწრფელად მჯერა – ვინც არ უნდა სცადოს ხელის შეშლა, აფხაზებთან თანაცხოვრებას ვერსად გავექცევით!“***

ჩვენი უხუცესები თურმე მზად არიან აფხაზეთში ჩასასვლელად, რათა ადგილზე მოილაპარაკონ ერთობლივი მოქმედებების გეგმებზე. თუმცა ამჟამინდელი სასაზღვრო კორდონების გადალახვა დღეს მათ არ შეუძლიათ. ამიტომაც სთხოვენ ხელისუფლებას, თავისი წვლილი შეიტანოს მათთვის სასაზღვრო რეჟიმის გამარტივებაში.

ისღა დაგვრჩენია, გულითადად მივულოცოთ ჩვენს დღეგრძელ უხუცესებს ახალი წელი, ვუსურვოთ ჯანმრთელობა და ღირსეული ცხოვრება, რაც ასე აუცილებელია მათი ბრძნული და კეთილი ზრახვების განსახორციელებლად. წარმატებას გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო უხუცესებო!

გივი ბაქრაძე
სპეციალურად
საქინფორმისთვის

როგორ გასხვისდა აფხაზეთი

გთავაზობთ ნაწყვეტებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ცნობილი დასტაქრის, პროფესორ ნაპოლეონ მესხიას ამავე სახელწოდების წიგნიდან.

აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაზე კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას, სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა გადასახედიდან.

აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენას ხანგრძლივი დრო დასჭირდება, მაგრამ ეს შესაძლებელია. აფხაზებთან იყო პრობლემური საკითხები, ამას ვერ უარვყოფ, ძირითადად კი ჩვენ გვქონდა ჯანსაღი ადამიანური ურთიერთდამოკიდებულება. ეს კავშირები დღესაც გრძელდება.

ჩვენ ამაზე უნდა ვისაუბროთ, რადგან ის ერთი მთლიანის ნაწილია, რომლის გარეშეც ვერ ახსნი ტრაგედიის სიმწვავეს.

სათქმელი ბევრი მაქვს. ბევრი შეიძლება გავიხსენო, რაც ჩემს პროფესიულ საქმიანობას შეეხება და, რა თქმა უნდა, ადამიანურ ურთიერთობას საზოგადოებასთან, მათ შორის მის აფხაზურ ნაწილთან. ეს ურთიერთობა დაიწყო მაშინ, როდესაც დავტოვე მოსკოვი და ჩამოვედი აფხაზეთში.

სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც აფხაზეთის მთავრობის მოწვევით, ჩამოვედი სოხუმში იმ მიზნით, რათა დამეფუძნებინა ნეიროქირურგიული სამსახური. უარი ვთქვი პერსპექტივაზე, დავტოვე საყოველთაოდ ცნობილი, საკავშირო სამედიცინო აკადემიის მოსკოვის აკადემიკოს ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიული ინსტიტუტი და მივაშურე მშობლიურ მხარეს, სადაც დიდი სიძნელეები დამხვდა. ამ დროისათვის სოხუმში, და არა მხოლოდ სოხუმში – მთელს დასავლეთ საქართველოში ნეიროქირურგიული სამსახური, როგორც ასეთი, არ არსებობდა. მძიმე შემთხვევების დროს სპეციალისტებს თბილისიდან ან რუსეთიდან იწვევდნენ. ჩემი ჩამოსვლით ეს პრობლემა მოიხსნა, მაგრამ არ გაგვაჩნდა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – სპეციალიზირებული სამედიცინო სტაციონარი, სამედიცინო პერსონალი და აღჭურვილობა. ყველაფერი ნულიდან უნდა დაგვეწყო. პირველ ხანებში, გარდა ასეთი პრობლემებისა, ვაწყდებოდით წინააღმდეგობებს სამედიცინო საზოგადოებაშიც, უფრო მეტად სამინისტროებსა და მთავრობაში. მათ შორის, განსაკუთრებული იყო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, ასლან ოტირბას სახელთან დაკავშირებული სიძნელეები. ის მედიცინას კურირებდა. მან საჯაროდ გამომიცხადა: **"ახალგაზრდა, გახსოვდეს, რომ აფხაზეთს დიდი ნეიროქირურგია არ სჭირდება. ამისთვის არის მოსკოვი, ლენინგრადი და რუსეთის სხვა დიდი ქალაქები. დროს ნუ დაკარგავთ, შეგიძლიათ წახვიდეთ სხვაგან!"** ალბათ, გულისხმობდა თბილისს ან სხვა რეგიონს.

ის არ იყო უჭკუო, საკმაოდ განათლებული კაცი გახლდათ. მას, როგორც ანტიქართული წრეების ერთ-ერთ ლიდერს, ხელს არ აძლევდა ჩემი საქმიანობა აფხაზეთში და მით უფრო ჩემი გეგმების რეალიზაცია. ალბათ ყოველივე ეს ჩემს ეროვნულ წარმოშობასთან იყო დაკავშირებული. ამასთან ის დაპირებები, კერძოდ ნეიროქირურგიული კლინიკა, ბინა და სხვა, ფუჭი აღმოჩნდა. ოჯახით სასტუმროში ვცხოვრობდი. ერთი წლის შემდეგ გადასახადიც მე დამაწვა. კლინიკის კონტურებიც კი არ ჩანდა. შემაკედლეს პირველი საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებას, რომელიც შორს იდგა ნეიროქირურგიული სპეციფიკისაგან – არც ხელსაწყოები და დანადგარები, არც სათანადოდ მომზადებული მედპერსონალი. მიუხედავად ამისა, დღემდე დიდი სიამოვნებით და პატივისცემით ვიხსენებ იმ დროს და იმ კოლექტივს, რომელსაც ცნობილი ექიმი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტალინური პრემიის ლაურეატი **მიხეილ ახალაია** ხელმძღვანელობდა. ეს რაც შეეხება კოლექტივს, ხოლო იქ არსებული პირობები ვერ უძლებდა ვერავითარ კრიტიკას.

ასეთ პირობებში მომიხდა 1972-1979 წლებში მუშაობა. დღე-დამეს ვასწორებდი: ადგილზე ნაოპერაციევი ავადმყოფები, მათი მოვლა, რეანიმირება და გაგრიდან გალამდე – კონსულტაციები.

როდესაც სპეციალისტები გამოჩნდნენ, პაციენტებიც მომრავლდნენ. ნეიროტრავმატოლოგიური კონტიგენტი იყრიდა თავს. ამ დროისათვის ფიქრი დიდ ნეიროქირურგიაზე უსაფუძვლო გახლდათ. მთავარი იყო მეჩვენებინა სამედიცინო და ფართო საზოგადოებისათვის **"ქოთნებს ღმერთები რომ არ გამოწვავენ"** და სოხუმშიც რომ შეიძლებოდა ისეთი ოპერაციების ჩატარება, როგორიც, ვთქვათ, მოსკოვსა და ლენინგრადში. ამ აზრის დამკვიდრება დღე-ღამის გასწორებითა და მხოლოდ მიღებული შედეგებით შეიძლებოდა! ამასთან ერთად, საბედნიეროდ, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც სულ სხვა თვალით შეხედეს ჩემს საქმიანობას. ასეთები იყვნენ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბატონი **ბორის ადლეიბა,** აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი **იუზა უბილავა** და, განსაკუთრებით, მისი წინამორბედი – აფხაზეთის მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელი ბატონი **ავთანდილ საყვარელიძე.**

მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ მათი ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი ნეიროქირურგიული სამსახურის დაფუძნება აფხაზეთში, უფრო სწორი იქნება ვთქვა – დასავლეთ საქართველოში, რადგანაც აქ ადრე გეგმური ნეიროქირურგიული ოპერაციები არ ტარდებოდა. ბოლოს და ბოლოს, მათი დახმარებით, გულრიფშის რაიონის სოფელ განახლებაში, ფსიქო-ნეიროქირურგიული საავადმყოფოს ბაზაზე გაიხსნა 30-საწოლიანი ნეიროქირურგიული განყოფილება, შემდეგ კი ოთხსართულიანი კორპუსი აშენდა ქალაქ სოხუმში, რესპუბლიკური საავადმყოფოს გვერდით. სწორედ აქ დაარსდა 60-საწოლიანი ნეიროქირურგიული ცენტრი, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს ემსახურებოდა. პარალელურად, სანამ ცენტრი შენდებოდა, ვარჩევდი ახალგაზრდა პერსპექტიულ ექიმებს და საშუალო სამედიცინო პერსონალს, რომელთა უმრავლესობამ, ჩემი უშუალო ხელშეწყობით, კლინიკური ორდინატურა ქალაქ მოსკოვში, აკადემიკოს ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიულ ინსტიტუტში გაიარა. აქვე, ერთი წლის ვადით მივლინებულ იქნა საშუალო სამედიცინო პერსონალის დიდი ჯგუფი.

(გაგრძელება იქნება)

ხეზე გაცოცხლებული ქართულ-აფხაზური სული

არავინ იცის, რა ძალა ბადებს შემოქმედი ადამიანის სულში შთაგონების წყაროს, ეს კითხვა მხოლოდ მაშინ გაჩნდება, როდესაც რაიმეს შეხედავ და გაოცდები. შემოქმედის შთაგონება და ოსტატობაა ერთმანეთს ერწყმის და მთლიანობაში ერთ სურათს ხატავს... სურათი, რომელიც ყველასათვის ცნობილია... ზოგისთვის ძალიან ახლობელი, ზოგისთვის კი, უბრალოდ – მონაყოლი და ფოტოებით გადმოცემული ამბავი. ეს თბილისია... ძველი ქართული ლხინი და ჭირვარამია. ხეზე კვეთის ამ უნიკალურ ნამუშევრებში ქართული სული ცოცხლდება. ვარამია. ხეზე კვეთის ამ უნიკალურ ნამუშევრებში ქართული სული ცოცხლდება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს ხეზე კვეთის მდიდარი ტრადიცია გვაქვს, ირაკლი გოგიას ბარელიეფური პანოები ახალი სიუჟეტური ჭრით შესრულებული მიმდინარეობაა. ამ საქმეს წლების წინ მოჰკიდა ხელი და დღესაც დიდი მონდომებით მუშაობს. დროსთან ერთად გამოცდილებაც მოვიდა, ყველაფერი კი ასე დაიწყო...

დაიბადა და გაიზარდა აფხაზეთში, ქალაქ სოხუმში. პროფესიით ინჟინერ-მშენებელია და ამ სპეციალობით გარკვეული წლები მუშაობდა. ხელოვნებისადმი დიდი ინტერესი ყოველთვის ჰქონდა. ერთხელ აფხაზმა მხატვარმა ასეთი რჩევა მისცა – თუ ხელოვნებაში შენი სიტყვა გინდა თქვა, რაღაც ახალი უნდა შექმნაო და ხეზე მუშაობა ურჩია. მას შემდეგ ეს საქმიანობა მისი ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა. დღეს, ირაკლი გოგიას შემოქმედება ხეზე კვეთის უნიკალურ ნამუშევრებთან ასოცირდება. პირველივე ნიმუშის შემდეგ მიხვდა, რომ ეს საქმე კარგად გამოუვიდოდა და მუშაობას შეუდგა. ხეზე კვეთის მდიდარი ტრადიციის მიუხედავად, მისი შექმნილი ხელოვნების ნიმუშები შესრულების თავისებური მანერითა და სტილით გამოირჩევა. ბარელიეფური პანოები მასიურ ხეზე ცაცხვის ხის მასალისაგან მზადდება, საბოლოოდ სურათი ნატურალური ფიჭით მუშავდება, რაც მის დადებით ენერგიას და ხანგრძლივობას განსაზღვრავს. მრავალფეროვანია სიუჟეტური თემატიკაც: ძველი თბილისის მოტივები, თავადთა ქეიფი, აფხაზური და ქართული სახალხო დღესასწაულები, ქება ღვინისა და ვაზის კულტურისა, წმინდანთა ქანდაკებები, ხატები, ტრიპტიხები და სხვა... მასალის საკმაოდ მაღალ დონეს ირაკლი გოგია ხის სპეციალური დამუშავებითა და მაღალი ოსტატობით აღწევს. მის ბარელიეფურ პანოებს სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმებში, კერძო პირის კოლექციებში, ქართულ სათვისტომოებსა და რესტორნებში შეხვდებით. საქართველოში ყველაზე დიდი კოლექცია მანავის ღვინის კომპანიაში ინახება და ავტორს მეცენატობას წლების განმავლობაში სწორედ ამ კომპანიის ხელმძღვანელი თემურ ქარჩავა უწევდა.

რელიგიურ თემატიკაზე შესრულებულ ნამუშევრებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა. ხატებზე მისეული ხელწერა იკითხება, მაგრამ მიუხედავად ამისა კანონიკა უცვლელია. თავის დროზე მისმა საქმიანობამ წამყვანი სპეციალისტების დიდი ყურადღება მიიპყრო. ესენი იყვნენ ელგუჯა ამაშუკელი, გურამ გაბაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ზურაბ წერეთელი და სხვანი. შემოქმედება ტრადიციული და, ამავე დროს, ნოვატორულიცაა, რის გამოც ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ხეზე კვეთის ტექნოლოგია რთული და იშვიათი მოვლენაა თანამედროვე ხელოვნებაში. სანამ მუშაობას შეუდგება, ყველაფერი უკვე წინასწარ გათვლილია, ესკიზი შედგენილი და დამუშავებული. ძალიან მძიმე და შრომატევადი საქმეა, სულ მცირე დეტალის ამოტეხვაც კი დიდ რისკთან არის დაკავშირებული. რთულია, მაგრამ დაწყებულ საქმეს სანამ ბოლომდე არ მიიყვანს, ვერაფრით ისვენებს. თითოეული პერსონალური გამოფენა დამთვალიერებელში ყოველთვის გაოცებას იწვევს, რაც მისთვის დიდი სტიმულია. ზუსტ ანალოგს არასოდეს აკეთებს, თემატიკა კი საკმაოდ მრავალფეროვანია. საქმიანობა შემოქმედებითად არ ნელდება, ასეთივე შემართებით სრულდება, როგორც იწყება.

ძირითადად ღამით მუშაობს, შინაგანი განწყობა კი ძველი ქართული სახეების გამოკვეთისას ყოველთვის შესამჩნევია. ზოგჯერ დიდი ლხინი და ქეიფია, ზოგჯერ კი – თვალებში ჩაგუბებული სევდა.

ერთი ოცნება აქვს – მისი კოლექცია აფხაზეთს ესტუმროს!

ია ბედოიძე,
ჟურნალი GEORGIAN, №3,
სექტემბერი, 2010წ.

ვაგრძელებთ ბატონ მერაბ ხუბუას პოემის "მარტვილი ანუ ანდრიადიდი" ბეჭდვას

XII. ხარება-ნახარებავო

დედას მოჰყავდა სამსხვერპლოდ ჩვილი
და თან ჰკიოდა: "სკუა, მა რვილი!
შვილო, მე მოგკალ, მე – ჩემი შვილი!"
მიტომ ერქვა ამ ადგილს მარტვილი...
ასე ჰკიოდნენ მთებს გადმომდგარნი
შვილმემსხვერპლენი ეგრნი დედანი...
სიშავე იყო ცად ჩამომდგარი,
ყოვლის მომცველნი იყვნენ სევდანი...
ანდრიამ მყისვე აფრინა ხვიჩა,
პირველ მოწაფე უპირველესი,
ახარე დედას: "ძე გადაგირჩა,
დედავ, მოისპო ერის ერესი!"
და შეხვდა ხვიჩა მახარობელი,
დედას, რომელსაც ჩვილი მოჰყავდა:
"ძე გადაგირჩა, რომ ღვთისმგმობელი
კერპი ისპო, ხსნა ღმერთმა მოგვმადლა!
ქრისტემ მოგმადლა, დედაო, შენ და
შენს შვილს ხსნა, შვება, შობა ისევე...
იესო ქრისტეე, დიდება შენდა!
ქრისტეე, გირწმუნეს! ქრისტეე, გისმენენ!
განკვირდა დედა, დედა გაოცდა,
განხარდა დედა, რა გაიხარა!
"მე კი არ მწამდა ქრისტე!" –
წამოცდა,
"დიდება ქრისტეს მარად და მარად!"
განხარდა დედა, ადიდა ქრისტე
და მოციქული მისი – ანდრია...
და მისი შვილიც ღვთივ იშვა ისევ...
ეს მოხდა ძლიერ ძველად, ადრიან...
იმ ადგილს, სადაც დედას ახარეს,
რომ აღარ იყო საჭირო მსხვერპლი,
ნახარებავო არქვეს, ნახავდნენ,
როგორ დაიმსხვრა წარმართთა კერპი...
იმ ადგილს, სადაც დედას ახარეს
მოციქულისა დანაბარები,
ნაკურთხი მიწა ზედ მიაყარეს
და მით ეკურთხა მთა და ბარები...
ძლიერ დალოცა ადგილი ესე
ანდრია ღვთივპირველწოდებულმა...
ბოლო მოეღო ტკივილებს, კვნესებს,
დედათგან ცხრავე ცას მოდემულმა...
მახარე ხვიჩას კი ხარებავა
გვარად არგუნა ანდრია დიდმა:
სახარება ვარ და ხარება ვარ!
ამას ნიშნავს ეს გვარი დიდწმინდა...

XIII. ბანძა – მარტვილი

ბანი გამოჩნდა ცისა, ვთქვი: ბან-ცა,
ბანზე გამოჩნდა თვით მაცხოვარი
აკურთხა ერი, ამ ადგილს ბანძა
დაერქვა, იყო დრო უხსოვარი...
ბან-ცა, ბანი ცის აქცია ბანძად
სიტყვიერებამ, ზეპირმა, ხალხის...
მით იქცა, უფლის აღთქმითა ახლით...
ყველაფერს, რაიც ისტორიაა,
ყველაფერს, რაიც იდუმალია,
იტევს მარტვილის ტერიტორია,
საუკუნეთა სასთუმალია...
ყველაფერი აქ დამარხულია,
ყველაფერი აქ აღმოსაჩენი,
ყველაფერი აქ დანახულია,
გამოჩენილიც, გამოსაჩენიც...
ცის ბანს გარდმოდგა თვით მაცხოვარი,
აკურთხა ერიც, მიწაც და წყალიც,
ღვთის სულიერი ეს საძოვარი,
აქ საუკუნე, ვით ერთი წამი...
ბოლოს აწყურში მან დააბრძანა
ხატი, ვით ბჭე და მცველი ქართლისა...
"მე თქვენთანა ვარ მარად და მარად!"
სთქვა ღვთის დედამან, მზემან ნათლისამ...
წმინდა ანდრიამ ღვთისმშობელისა
პირველსახიერ ხატი ჰყო აწყურს...
მფარველი ყოვლად და ყოველისა,
მომავალს მოგვცემს, გვახსენებს წარსულს...
წმიდად ჰყოფს ყოვლად ყოვლით ყოველსა
მადლი უფლისა უფლის მპოვნელსა,
წმიდა არს მიწა, წმიდა არს წყალი...
ნათლობითა, ღმერთს ზიარებითა
ძლევა კერპისა ჰნიშნეს, პურს, ღვინოს
მადლი მიეცა ღვთის დიდებითა
და მოილხინეს იქვე სალხინოს...
შორს, საზარელო კერპო, სახმილო!
სულ იდიდე, სულ, ღვთის, ღვთის სახელო!
ამიტომ ადგილს ამას სალხინო,
მოციქულებმა არქვეს სალხინოდ...

მერაბ ხუბუა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართული თანამედროვე პოლიტიკის ბურების აფრიკული მოტივები

სერიოზულად თუ არასერიოზულად უნდა მივუდგეთ ქართულ-ბურების თემას? საკითხავი აი, ეს არის. რასაც, ვაღიარებ, არ შემიძლია ვუპასუხო. მაგრამ თემა ოფიციალურად გაცხადდა: 41 ათასი ოჯახი (150 ათასამდე ადამიანი) შეიძლება უცებ აღმოჩნდეს საქართველოში მუდმივად ჩაწერილი, უმეტესად - სოფლებში, და ფერმერობას მიჰყონ ხელი.

პიარია თუ არაპიარი?

რას ნიშნავს ეს? ინტენსიური ნაბიჯია აგრარული სექტორის რევოლუციური გარდაქმნისკენ, აფრიკის თეთრკანიანი მოსახლეობის დახმარება, რომელსაც შავკანიანი უმრავლესობა ჩაგრავს, თუ რაღაც სხვა, რაც უბირმა ხალხმა არ უნდა ვიცოდეთ?

ყველა შემთხვევაში, ძნელია, წარმოვიდგინოთ დემოკრატიული სახელმწიფო (როგორიც გვგონია რომ ვართ), რომელშიც ამგვარი, **"სახელმწიფოთაშორისი"** არაორდინალური პროექტი შეიძლება განხორციელდეს, არ ვიცი, მონარქიის ნებითა და ერთი მუჭა **"პირველი კატეგორიის"** დიდებულების მხარდაჭერით, არ ვიცი, - **"ზემოდან"** მითითების თანახმად. შემდეგ უკვე, როცა საქმიანი კონტაქტები დოკუმენტურად დამყარდება, ხელქვეითი ტელეარხებისა და მასმედიის სხვა საშუალებებით გვაცნობებენ, ფაქტი მომხდარია და ქვეყანაში უკვე ცხოვრობს ერთი ბური, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა მიიღო.

ასე გადაწყვიტა ჩვენმა **"უმაღლესმა მთავარსარდლობამ"** და დასვა წერტილი: მოელაპარაკა აფრიკელ **"ბელადებს"**, რომლებიც ადგილზე მდგომარეობის შესასწავლად ჯგუფურად ჩამოვიდნენ მომავალ სამშობლოში და ვიდეოკამერებზე გადაიღეს მოწონებული სიუჟეტები, სიუჟეტები, რომლებიც ასახავდა ჩვენი მევენახეობის მასშტაბებს, მობიბინე პურის ყანებს, მსუქანი ფარების სიმრავლესა და ზურმუხტოვან საძოვრებს. შეიძლება, კიდევ რაღაც... განსაკუთრებულად ქართულ-ბურებისას.

ასე დასრულდა ინფორმაციის გაცვლის არამეცნიერული პროცესი. ცოტაღა დარჩა მოსაგვარებელი: თეთრმა ქალებმა, ბურების დიასახლისებმა, უნდა გამოიტანონ **"ვერდიქტი"** - აიყარონ თუ არა დედაწულიანად და გადასახლდნენ ცხრა მთას იქით, თუ სხვა კონტინენტებზე განაგრძონ **"აღთქმული მიწის"** ძებნა?

თითოეულის პირადი უფლებაა, როგორ უპასუხონ საქართველოს ხელისუფლების სტუმართმოყვრულ შეპატიჟებას.

ჩვენ კი, ის დროა, სერიოზულად დავფიქრდეთ მორიგი **"ინოვაციური"** პროექტის გონივრულობის ხარისხზე, რომელიც, ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლების დასკვნით, ადასტურებს ხელისუფლების ანტიეროვნულ პოლიტიკას. ამასთან: **"სამხრეთ აფრიკიდან ფერმერების ოჯახების ჩამოსახლება ემსახურება ჩვენი მტრების ინტერესებს - დატოვონ საქართველო ქართველების გარეშე".** ლეიბორისტებმა აღნიშნეს, აგრეთვე, რომ **"უკვე მომზადებულია კანონპროექტი და ქართველ გლეხებს ჩამოართმევენ დაუმუშავებელი მიწის სავარგულებს, სადაც ბურების ოჯახებს ჩაასახლებენ".**

აგრარული უსუსურობის აღიარება

ჩვენს ნაცვლად რატომ უნდა გააკეთონ ბურებმა ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძლო ხელისუფლებამ?! ხელმძღვანელების **"გონივრული და პროგრესული ლოგიკა"** პასუხს ვერ გვცემს, თუ რატომ წარმოიქმნა მოცემულ ეტაპზე დაუმუშავებელი მიწის მასივები და რატომ გაიზარდა ორჯერ და მეტად ფასები ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყანაში, რომელსაც **"ნაციონალები"** მართავენ?!

ერთ-ერთ უცხოურ სტატია-გამოხმაურებაში საქართველოს **"ბურიზაციის"** საკითხზე ნათქვამი იყო: **"არავინ უწყის, რა ბედი ელით სამხრეთ აფრიკიდან საქართველოში გადასახლებულებს და, საერთოდ, გადაბარგდება კი ბევრი ფერმერი ახალ სამშობლოში? მაგრამ თვით ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებას სურვილი აქვს მიიღოს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა და შეუქმნას მას სამუშაო პირობები, ბევრის მთქმელია".**

მართლაც მრავალი კონტექსტი აქვს ხელმძღვანელების **"სურვილის ფაქტს".**

დავიწყოთ ყველაზე მარტივით: შეიძლება თუ არა, ჯანსაღ გონებაზე მყოფს დაებადოს აშკარად ავადმყოფური აზრი, რომ ქვეყანაში, სადაც უამრავი უმუშევარი და ლტოლვილია, რომელიც მესხეთელი თურქების ჩამოსახლების პირზეა, დამატებით მოიზიდოს **"მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა"**, უაღრესად არეულ საწარმოო სექტორში დასასაქმებლად?! და აქვე ასეთი შეკითხვა: რატომ არ შეუქმნეს იგივე პირობები საკუთარ ფერმერებს მაღალპროდუქტიული შრომის უზრუნველსაყოფად?

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა არ იცნობს ამა თუ იმ ჩავარდნილი სფეროს გამოსასწორებლად **"ლეგიონერების"** მასობრივად მოწვევის გამოცდილებას. დღევანდელ მსოფლიოში დაფიქსირებულია შრომითი მიგრაციის საკმაოდ მაღალი დონე, მათ შორის, საქართველოდანაც. პროცესის რეგულირებისა და მისდამი გონივრული მიდგომის გარეშე, გამორიცხული არ არის მცირე ტერიტორიების **"ჩინეთიზირება", "უკრაინიზირება"** ან **"ამერიკანიზირება".**

რა ვუყოთ ბურების მიგრაციას იმ პირობებში, როცა საკუთარი უმუშევრების არმია კი არ მცირდება, არამედ ინტენსიურად იზრდება? ან როცა ჩვენი პენსიების რაოდენობა, ოფიციალური სტატისტიკით, 50 აშშ დოლარს არ აღემატება? იციან კი ეს აფრიკელმა ფერმერებმა? ვითომ დახარბდებიან ასეთ პენსიას ხანდაზმული ბურები? ცხოვრება მობეზრდათ, თუ რა? თუ ექიმებმა სამკურნალო საშუალებად ხანგრძლივი შიმშილობა გამოუწერეს? მათი დაზღვევა და მკურნალობა როგორ უზრუნველვყოთ? რომელი სახსრებით? ნუთუ ჩვენი ჰუმანური ხელისუფლება ყველა ამ ხარჯს თავის თავზე აიღებს? ფრიად საეჭვოა...

გაურკვეველი და გაუგებარი საკითხი საქართველოს აგრარული სექტორის სრულ **"ბურიზაციაში"** საკმარისზე მეტია. გვაქვს კი სასტარტო მატერიალური პირობები ამ ბურებისთვის? მიწას, რა თქმა უნდა, უფასოდ მივცემთ. თავზე სახურავი ხომ სჭირდებათ და სხვა კომუნალური უზრუნველყოფა? ეს საკითხები როგორღა მოვუგვაროთ? ხომ ვერ ჩავასახლებთ სტუმრებს **"რეზერვაციებში",** იმ სახლებში, რომლებსაც ტუალეტები გარეთ აქვთ და სადაც სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილი ჩვენი თანამემამულეები ცხოვრობენ, ან სადღაც წალენჯიხისა და ზუგდიდის საზღვრისპირეთში ხომ არ ვუკრავთ თავს, როგორც აფხაზეთიდან ლტოლვილ მოსახლეობას? ასეთი რამ უფრო დასჯას დაემსგავსება, ვიდრე ლამაზ ჩამოსახლებას ახალ სამშობლოში.

ამიტომაა მისასალმებელი ჩვენი ხელისუფლების ინიციატივა, თითოეულ ოჯახს (რა თქმა უნდა, ბურებისა) ლანგარით მიართვან 50 ათასი აშშ დოლარი. სახლის ასაშენებლად, ჭის გასათხრელად და, ბოლოს და ბოლოს, სახლთან ახლოს ტუალეტის მოსაწყობად.

თუმცა ამის შესაძლებლობა ჩვენ სად გვაქვს?! მაგრამ გვერდითაა განათლებული ევროპა და შორეული, მაგრამ მუდამ გულუხვი ამერიკა. რატომ არ უნდა დაეხმარონ ქართველებს, შეიკედლონ ბურები ტრანსილვანიიდან? მაკეინისა და პენსიონერ ბუშ-უმცროსის დახმარებით, შეიძლება შეაგროვონ ერთი-ორი მილიარდი დოლარი და საქართველოს პრეზიდენტს ინიციატივიან ფეხებთან დაუყარონ, ვისაც არაერთხელ ჩაუყვია ხელი ამერიკის თუ ევროპის ჯიბეებში.

არც ისაა გამორიცხული, რომ აფრიკელებს დიდი ბრიტანეთისა და ჰოლანდიის ბანკებში შეიძლება ჰქონდეთ გადანახული საგვარეულო დანაზოგები. ამ შემთხვევაში ისინი ჩამოსახლებულთა ფერმერულ კატეგორიას ავტომატურად შეიცვლიან აგრარული სექტორის კოლექტიური უცხოელი ინვესტორების სოლიდურ კატეგორიაზე. ესღა დაგვრჩენია იმედად, რისაც, როგორც ჩანს, მტკიცედ სჯერა ჩვენს პრეზიდენტს თავის ხალისიან გუნდთან ერთად. ასე რომ, ბატონო ლეიბორისტებო, თქვენი შიში ქართველთა გადაგვარების შესახებ, უსაფუძვლოა.

სახელი გაგვივარდება კოსმოსური მასშტაბისა. სწორედ ჩვენ შევიკედლეთ ის ბურები, რომლებიც თავის დროზე ებრძოდნენ ინგლისელ იმპერიალისტებს, შემდეგ მრავალი ჭირი გადაიტანეს, დაბოლოს საკუთარ ქვეყანაში უმცირესობაში აღმოჩნდნენ. სწორედ ჩვენ მივესალმებით მათ შემოსვლას დიდ ქართულ ოჯახში. თუმცა გვეეჭვება, რომ ეს მოხდება მანამდე, სანამ საქართველო აშკარად გაჭირვებული კატეგორიიდან არ გადაინაცვლებს სახელმწიფოებრიობის სხვა კლასში.

დარიგება ქართველ ბურებს

სამხრეთ-აფრიკის მკითხველი საზოგადოების ყურადღებას მივაქცევ ზოგიერთ ადგილობრივ **"სიანცეს"** და უკვდავ ქართულ სურვილს - ყველგან და ყველაფერში ვიყოთ საუკეთესონი და მსოფლიოში უმაღლესნი. ამგვარი მიდგომითაა აღჭურვილი ჩვენი მთავარი სახელმწიფო პირი. ვაშენებთ ცათამბჯენ სასტუმროებს - საუკეთესოს და უმაღლესს მსოფლიოში, ასეთსავე აეროპორტებს და, აგრეთვე, ტუალეტებს დამხმარე სამსახურებით მსოფლიო სტანდარტების დონეზე... ეს საყმაწვილო სენი კი არის, მაგრამ მაინც ფრიად საშიში დაავადებაა, რომელსაც საბოლოოდ პირადი და საზოგადოებრივი შეგნების **"არიაზაციამდე"** (სიტყვა არიელიდან) მივყავართ.

ამას რა მოჰყვება ხოლმე, კარგადაა ცნობილი ისტორიიდან და გარკვეული დაწესებულებების პაციენტებთან პირადი კონტაქტებიდან. ამასთან დაკავშირებით სხვა, ადგილობრივი ტენდენციაც ვლინდება - ზღვარგადასული მიდრეკილება ფასების გაზრდისკენ, თითქოს ჩვენს ბაღ-ბოსტნებსა და მეცხოველეობის ფერმებში არა ჩვეულებრივი საკვები პროდუქტების, არამედ ბაჯაღლო ოქროს და უმაღლესი ხარისხის შენადნობებს მოიწევენ.

ამასწინათ, პრეზიდენტის ტურისტული გატაცებიდან გამომდინარე, მანქანების გაქირავების ფასები შევადარე ჩვენთან და განვითარებულ ტურისტულ ზონებში. გაირკვა, რომ ჩვენთან ხუთჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ევროპაში და ამერიკაშიც კი, არაფერი რომ არ ვთქვათ ტურისტებისთვის საყვარელ პორტუგალიასა და კარიბის აუზის კუნძულებზე.

პურის საქმე როგორაა თქვენთან - სამხრეთ აფრიკაში, ბატონო კოლონისტებო? ამ ფრონტზე ჩვენთან შეიმჩნევა პურის განუხრელი გაძვირება ხუთ-ხუთი ცენტით და უეჭველი შემცირება პურის გასაიდუმლოებული წონისა, იმის მიუხედავად, რომ კორუფცია ჩვენთან ძირფესვიანად არის აღმოფხვრილი.

ერთი კილოგრამი რუხი პური, პროლეტარიატისთვის განკუთვნილი, 3,4 ლარი ღირს. დოლარის ეკვივალენტში - **2 "მწვანე".** მასობრივი მოხმარების უძვირესი პროდუქტია, უკრაინის, რუსეთის, ევროპის პურთან შედარებით! ბოდიშს გიხდით სამხრეაფრიკული პურის ფასების შესახებ ინფორმაციის უქონლობის გამო. ამიტომ გირჩევთ: გამოიძღვანიეთ თითოეული ოჯახის სამყოფი ორ-ორი ვაგონი ხორბალი, რამდენიმე წელიწადს რომ იმყოფინოთ. შემდეგ კი, თქვენ, ვინაც ხორბლისა და სიმინდის მოყვანის განთქმულ ოსტატებად ხართ აღიარებული, შეძლებთ უზრუნველყოთ საკუთარი თავიც და ქვეყანაც პურით ჩვენი არსობისა. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ჩვენი უფროსი უკვე დაჰპირდა ხალხს ორ-სამ წელიწადში მოსავლის გაზრდას 30 პროცენტით. ნუ იძუნწებთ, შემოიტანეთ ჩვენს ქვეყანაში რაც შეიძლება კარგი სათესლე ხორბალი, აი, მაშინ კი გვეშველება.

ცნობილია, აგრეთვე, რომ თქვენ შესანიშნავი მეხილეები ბრძანდებით, როგორც სამხრეთაფრიკული ხილის სიუხვის შემქმნელები. ოღონდ ჩაინიშნეთ ერთი ადგილობრივი გამოცემის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხილი საქართველოში უფრო ძვირია, ვიდრე ევროპაში, რუსეთში და, თავისთავად ცხადია, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში. ასე რომ, ჩირიც მოიმარაგეთ, ჩვენთან რომ ჩამოხვალთ, დაგჭირდებათ.

და კიდევ - ცნობისთვის: **"გამოუცხადებელ მსოფლიო ჩემპიონატებში"** ჩვენ აღიარებულები ვართ პირველად არა მხოლოდ პროდუქტების გარკვეული კატეგორიის ასორტიმენტში, არამედ კომუნალური მომსახურების ტარიფებშიც. სწორედ ამ გზითა და საშუალებით ართმევს ჩვენი სახელმწიფო მოსახლეობას უკანასკნელ კაპიკებს უცხოური გაზის, ელექტრო, ნავთობის კომპანიების სასარგებლოდ, რათა შეუქმნას მათ კარგი წარმოდგენა თავის თავსა და ქვეყანაზე. და ეს ყველაფერი კეთდება სტერილურ, არაკორუმპირებულ გარემოში უპატიოსნესი ჩინოვნიკების ხელით. ამიტომ უპრიანი იქნება, თავიდანვე მოელაპარაკოთ ჩვენს მთავრობას თქვენთვის წყალზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე და ა.შ. შეღავათიანი ტარიფების დაწესების შესახებ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში დემოკრატიული ცენტრალიზმია დამკვიდრებული, გადაწყვეტილებებს პრეზიდენტი ერთპიროვნულად იღებს.

სასწაულებრივი **"ნოუ-ჰაუა"** დანერგილი ჩვენთან: საპროცესო გარიგებების სისტემა, რომლითაც დამნაშავე გირაოთი და საგადასახადო საჯარიმო სანქციებით თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. საბოლოო ჯამში, ამგვარი ღონისძიებები ექსპორტის ჯამურ რაოდენობაზე არანაკლები ოდენობით ამდიდრებს სახელმწიფო ბიუჯეტს. ამის გავლენით ჩინოვნიკებს არნახულად გაუცხოველდათ მხილების, დაპატიმრების, ბრალის დადების სურვილი ამ მოსაკრებლების გადაჭარბებით შესასრულებლად და, აქედან გამომდინარე, პირადი პრემიების მისაღებად.

ასე რომ, ბატონო ბურებო, იყავით ფხიზლად და გაფრთხილდით, თავიდან აირიდეთ საეჭვო შეთანხმებები და ურთიერთობანი, რომლებიც შეიძლება ადმინისტრაციული ფანდები აღმოჩნდეს სახელმწიფოს სასარგებლოდ თქვენი ჯიბის გამოსაფხეკად.

სხვაფრივ - ცხოვრება სიხარულია, რასაც თქვენც გისურვებთ!

ქართულ მიწაზე შეხვედრამდე!

საქინფორმი

მორიელის სიდიდრეთ

„ერთი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდნენ, წავიდნენ გზასა, გასავალი წყალი დახვდათ.

მორიელი დაღონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა: ზურგს შემაჯექ, მე გაგიყვანო!

შეაჯდა მორიელი ზურგს. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუწყო.

კუმ ჰკითხა: ძმაო, რას იქმო?

მორიელმან უპასუხა: რა ვქნა, არც მე მნებავს, მაგრამ ასეთი გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა ვუკბინოთო.

კუმ დაიყურყუმელავა და მორიელი წყალს მისცა და უთხრა: ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი თუ გესლიანს ხორცს არ გაიბანს, გაუსივდება და მოკვდებაო“.

ეს იგავი დიდ ქართველ მწერალსა და ლექსიკოლოგს სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის. მართალია, ძნელად თუ დაჯერებ ზოგიერთ სომეხ ჟურნალისტს, რომ ორბელიანები ქართველები არიან, მაგრამ ეს ასეა.

ამასთანავე ორბელთა (ორბელიანთა) ფეოდალური საგვარეულო XII›XIII საუკუნეების საქართველოში ფლობდნენ ორბეთის ციხეს ქვემო ქართლში, საიდანაც მოდის მათი გვარი (ივ. ჯავახიშვილი). გვარის მიღების გრამატიკული მხარე თვით გვარშივეა ასახული. **ორბეთი** გამჭირვალე სახელია, ორბების ადგილს დაერქმეოდა ხოლმე. მასში **-ეთ** გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც ჩამოსცილდება ტოპონიმს თუ მას დაერთვის წარმომავლობის სუფიქსი **-ელ**-ი. ვთქვათ: კახეთი და კახელი, იმერეთი და იმერელი. სოფ. ბანძა და ბანძელაძე. თუმცა, შორს რომ არ წავიდეთ, თვით დიდი სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი წერს ამის შესახებ: **„განუტეხელი იგი სიმაგრე ორბეთი, რომელი აღშენებულ იყო კელითა ქართლოჲსისათა, მისცნეს მათ სახლად სამყოფად მათდა და ადგილად სიმაგრისად... დაიმკვიდრეს ორბეთი და სახელისა მისგან ციხისა მისგან მრავლით ჯამითგან ეწოდნეს ორბელიანნი, ესე არიან ორბეთელნი, რამეთუ ჩვეულება არს ნათესავისა ამის სახელითა ადგილისათა სახელისდებად მთავართა, ვითარცა მთეულთა - მთეულნი, მრაჭველთა - მრაჭველნი და ჰერელთა - ჰეროსთონი, და ჯავახთა - ჯავახნი, და კახთა - კახნი და ლიხელთა - ლიხელნი და სხვანი მრავალნი“** (სტეფანოს ორბელიანის **„ცხოვრება ორბელიანთა“**-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 1978 წ. გვ. 28-29). ასე რომ, დაეჯერება სულხან-საბა ორბელიანს...

საჭიროა ზოგიერთი ავტორის შესახებ, რაც არ უნდა არა აკადემიური გამოცემა იყოს მისი ნაშრომი, ითქვას სიმართლე, აიხსნას, თუ რატომ ამახინჯებენ და ეგრერიგად აფუჭებენ ქართულ-სომხურ ურთიერთობას. მხედველობაში მაქვს ა. სანოსიანის სტატიების კრებული **„...еще и белый геноцид“**, ავტორისეული გამოცემა, ერევანი, 2006 წ.

ტენდენციურობა შეიძლება განაპირობოს საკუთარი ქვეყნის ისტორიის გადაჭარბებულმა შეფასებამაც და მეზობელი ხალხების, ქვეყნების წარსულისა და დღევანდელობის შეუფასებლობამ. საკმაოდ სახიფათო სფეროა ტოპონიმია. ტოპონიმთა ეტიმოლოგია ხშირად სასაცილო მდგომარეობაში აგდებს ზოგიერთ მეცნიერს.

მინდა მივუთითო ფაქტზე, როდესაც ორ ჩვენს მეზობელს - აზერბაიჯანელსა და სომეხ მეცნიერს, როგორ ვერ გაუყვიათ ქართული სოფლის სახელი **აწყური**.

აზერბაიჯანელი მეცნიერი წერს: **„Также с гурами связаны названия сел Азгур (по-груз. Ацкури) в Месхетии (Ахалцихский район) и Ацкури около г. Телави. Именно в этом регионе в. IV›VI вв. действовали и проживали упоминавшиеся сабиры (А Юнусов. ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, კრებული „Центральная Азия и Кавквз“** № 1(2) 1999, გვ. 164). ამ მეცნიერისთვის მნიშვნელობა არა აქვს სიტყვის ფუძეს, მაწარმოებლებს, საერთოდ ლინგვისტურ მორფემებს. სიტყვის ნებისმიერ ნაწილში თუ დაინახავს ბგერათა მისთვის სასურველ თავყრილობას, იმ წუთში გამოაცხობს ეტიმოლოგიას. ა. იუნუსოვი არ მიუთითებს, საიდან აიღო მისთვის სასურველი ფორმა **Азгури** (შეიძლება თავადვე შექმნა), რომელშიც გამოყოფს **гур**-ს და მას უკავშირებს თურქული მოდგმის ტომებს საბირებს, რომლებიც თურმე მაინცდამაინც **აწყურში** ცხოვრობდნენ IV›VI საუკუნეებში. მათ დაარქვეს აწყურს სახელი. **гур**-ს კი გამოყოფს, მაგრამ რადგან, მისთვის სასურველ ფორმას ჰყოფს 2 ნაწილად აღარაფერს ამბობს **Аз**-ნაწილზე. ეტყობა მასში გულისხმობს **Азербаиджан**-ს რომლის ცნობილ შემოკლებასაც წარმოადგენს **Аз-** ელემენტი.

მისი აზრით **Азгур**-ის ქართული ვარიანტი არის **Ацкури** ოღონდ არაფერს ამბობს, რაგომ დასჭირდათ ქართველებს **Азгури**-ის **Ацкур**-ად ქცევა. ქართულ ენას აქვს შესაძლებლობა (განსხვავებით აზერბაიჯანულისგან, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს **აწყურის** წარმოთქმას), წარმოთქვას **აზგურიც** და **აცკურიც**, მაგრამ არ სჭირდება ამის გაკეთება, რადგან ეს ფორმები მეორადია, ერთი მოგონილია, ხოლო მეორე (აცკური) რუსული ტრანსკრიფციის შედეგია და მას ქართულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ახლა მოვუსმინოთ სომეხ მეცნიერს: **„Топоним Ацкур, несомненно, армянского происхождения. Как мы полагаем, это сложное слово состояшее из корней Ац и Кур. Последний - название реки Куры, а ац, по новому словарю айказянского языка, корень слова... - принести, положить что-то перед кем, чем, По Этимологическому словарю Гр. Ачаряна, пятое значение этого слова - строит. Ацкур, таким образом, означает построенная, поставленная возле куры (крепость).“ (А. Саносян „... еще и белый геноцид**, 2006, გვ. 35). იქვე მიუთითებს პატივცემული მეცნიერი, რომ არსებობს თურმე **Ацкур**-ის გაქართულებული **(„огрузиненой“)** ფორმა **Аскурет(и)** თუ **Сокурет(и)**. ეს ფორმები ქართულ საისტორიო წყაროებში არის თითქოს დადასტურებული. ეს არის უხერხული სიცრუე, რადგან აწყურს აქვს რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე, ეს არის: **აწყური, აწყვერი, აწყუერი,** ხოლო ასკურეთი და საკურეთი მოგონილი ფორმებია ან დამახინჯებული ვარიანტი.

აზერბაიჯანელისათვის არასასურველი ფორმა **ацкур-о** მიჩნეულია ქართულად, მაგრამ რადგან სომეხ მეცნიერს სჭირდება ეს **ацкур-о** (აწყურის რუსული ვარიანტი), მას უკვე მიუჩნევია სომხურად. არადა ქართულიც ხომ რაღაც უნდა თქვას და ასეთი რაღაც არის მისივე გამონაგონი **ასკურეთი** და **საკურეთი.**

ა. სანოსიანის აზრით, რა თქმა უნდა, მხოლოდ სომხები ცხოვრობდნენ აწყურში და მათვე დაარქვეს სახელი, მხოლოდდამხოლოდ თურქებმა დაარქვეს სახელი ა. იუნუსოვის აზრით. ამ ორი მეცნიერის მიერ შემოთავაზებული მცდარი ეტიმოლოგიები მცდარ ისტორიასთან დაკავშირების საფუძველი ხდება და აღარსად ნამდვილი სახელმდები ქართველების ადგილი აღარ რჩება.

ორივესთვის მთავარი ფონეტიკური პრობლემა არის **ყ** ბგერა, რომელიც ამ ტოპონიმის ფუძეში უმნიშვნელო როლს არ ასრულებს. ეს ბგერა არც სომხურს და არც აზერბაიჯანულს არც სხვა თურქულენოვან ენებს ფონემის სახით არ გააჩნია. ამიტომაც მათი ეტიმოლოგიის მთავარი შეცდომა არის ის, რომ **кур** – არასოდეს ყოფილა აწყურის ფუძეში. არც კლავდიოს პტოლემეოსს შეეძლო ანყურად დაეწერა ეს სახელი თავის რუკაზე, რადგან არც მას ჰქონდა თავის ენაში **ყ** ბგერა, ამიტომ წერს იგი **Askur**-ს. ასე რომ არ ყოფილიყო ქართულ ენას ჰქონდა საშუალება **Askur**-ი გადმოეტანა ასკურად.

სამწუხაროა, რომ ამ გეოგრაფიულ სახელს ყველა თავისებურად **„კითხულობს“** და აკეთებს შესაბამის **„დასკვნებს“**, რომ სახელი დაურქმევიათ თურქებს ან სომხებს. როდესაც საუბარია თურქებზე შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ აწყურში თურქებს არასოდეს უცხოვრიათ. როდესაც რუსული აღწერის დავთრები აქაურ თურქებზე მიუთითებენ (1907 წ.), იგულისხმება გამაჰმადიანებული ქართველები, რომლებიც მე-19 საუკუნეში ასევე ქართველებად იწოდებოდნენ მათი **„თურქობა“** ოსმალურ-რუსული პოლიტიკის შედეგია.

Ацкур, Askur, Азгур ფორმები მეორადია, ყველა მიღებულია ქართული **აწყურიდან**, რომელიც, როგორც აღინიშნა, რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით არის ცნობილი (ამის შესახებ იხ.: მ. ბერიძე, **აწყურის ეტიმოლოგიისათვის**, კრებული **„ქართული მემკვიდრეობა“**, XII‡2008 წ. გვ. 31-36 ან **„ტაძრები და სახელები“**, 2010 წ. გვ. 31-36).

აწყური დაიშლება ასე: ა-წყურ-ი, რომელშიც ა - არის პრეფიქსი (გამოყოფა ეკუთვნის ნ. მარს), ხოლო წყურ - ფუძე დაკავშირებულია წყალთან. ამოსავალია წყ - ძირი (ვ. თოფურია). ეს ძირი გვხვდება წყალთან დაკავშირებულ ისეთ ქართველურ სიტყვებში, როგორიცაა: **წყალ, წყარო, წყარ, წყუ, წყორ**, (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ვ. შენგელია) იგივე **წყ** ძირი გვაქვს სიტყვებში: ნე-რ-წყ-ვ-ი რ-წყ-ევ-ა (მ. ჩუხუა).

აწყური ნიშნავს **წყლიან ადგილს, წყლის ადგილს**. ორი აწყურია საქართველოში და ორივე მდინარის პირას მდებარეობს. სამცხის აწყური, რომელზეც ჩვენ გვაქვს საუბარი, მდებარეობს მტკვრის ორივე ნაპირზე დღეს და ასე იყო ოდითგანვე, როგორც ეს ბოლო დროის არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა (ვ. ლიჩელი) და არა **...„на правом берегу р. Куры“**, როგორც ეს ზოგიერთ მეცნიერს ჰგონია.

ასევე მდინარე ბერხევის ორივე ნაპირზეა გაშენებული მეორე აწყური, რომელიც ახმეტის რაიონში მდებარეობს.

რა თქმა უნდა, შემთხვევით არ არის, რომ არც სომხეთსა და არც აზერბაიჯანში, არც თურქეთში მსგავსი სახელის ტოპონიმი (თუნდაც სახელის მათთვის სასურველი ვარიანტით) არ მოიძებნება, რადგან სახელის დამრქმევი ქართველი კაცი ცხორვობდა მაშინაც, როდესაც ეს ტოპონიმი შეიქმნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე და ცხორვობს დღესაც.

არც ის არის შემთხვევით, რომ, როგორც ეს ა. სანოსიანისა და ა. იუნუსოვის წერილებიდან ჩანს, მათს საისტორიო წყაროებში ვერავითარი ინფორმაცია აწყურის შესახებ ვერ მოიძიეს, ე.ი. **არ არის**. ერთადერთი მე-15 საუკუნეში ყოფილა ოვანეს აწყურელი, რომელიც წარმოშობით იყო აწყურიდან. ეს კი აძლევს სომეხ მეცნიერს შემდეგის თქმის საშუალებას: **„И город, и крепость Ацкур всегда были заселены армянами. В далнейшем здесь обосновались также евреи, грузины и турки (А. Саносян,** გვ. **36)**“.

ამ **„ფაქტზე“** ცოტა მეტხანს მოგვიწევს შეჩერება. სომხები საქართველოში ყოველთვის ცხოვრობდნენ, ისინი ძირითადად მტრების მიერ დარბეული სამშობლოდან გამოქცეულები შემოგვეკედლებოდნენ ხოლმე, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალაქ ადგილებში, სადაც ებრაელებთან ერთად მისდევდნენ ვაჭრობას. საამისო მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს.

დღეს რომ აწყურში სომხები კომპაქტურად არ ცხოვრობენ, ამას თავისი ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აწყურის მოსახლეობა დაიცალა ქართველთა დიდი ნაწილისაგან. ზოგი ომში დაიღუპა, ზოგიც უცხოეთში გადაიხვეწა. **„1830 წელს აწყურში დასახლდა არზრუმელი სომხების 166 ოჯახი“**... მათ დახვდათ 461 კომლი ქართველი მაჰმადიანი და 31 კომლი ებრაელი (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975 წ. გვ. 487). **„ახლად დასახლებული კოლონისტები ადგილობრივ მოსახლეობას არ შერევიან. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მტკვრის მარჯვენა მხარეს ცხორვობდა, ხოლო ახალჩამოსახლებულები მტკვრის მარცხენა მხარეს** (ლომსაძე, 1975 : 487)“.

„სომხები და ებრაელები ეწეოდნენ მხოლოდ ვაჭრობას, ისინი მეურნეობის არც ერთ დარგს არ მისდევდნენ. არ ჰყავდათ არც საქონელი გარდა ცხენებისა და სახედრებისა, რასაც თავიანთ სავაჭრო საქმიანობაში იყენებდნენ...

1840-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ახალციხის საფაშოს ნაცვლად შეიქმნა ახალციხის მაზრა და გაუქმდა სანჯაყები, აწყვერი აბასთუმნის უბანს დაემორჩილა და მისი ბურჟუაზიულ ქალაქად გადაქცევის პერსპექტივებიც შეწყდა. აწყვერში ჩასახლებული სომეხი ვაჭრები 40-იან წლებში აიყარნენ და ახალციხეში გადასახლდნენ. აწყვერიდან ახალციხეში გადავიდნენ ებრაელი ვაჭრებიც. ამის შემდეგ აწყვერი სამცხის ტიპიურ სოფლად გადაიქცა (ლომსაძე, 1975 : 488)“.

სამწუხაროდ არცერთი ზემოთ მოხმობილი აზერბაიჯანელი და სომეხი მეცნიერი არ მიუთითებს იმ ფაქტს, რომ აწყური არ იყო მხოლოდ ციხე და ეკლესია, იგი იყო საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სასულიერო ცენტრი. **აწყურის საეპისკოპოსო საქართველოს ეპარქიათა შორის ერთ-ერთი უძველესია.** მართალია, არ შემოგვრჩა ყველა ეპისკოპოსის სახელი, მაგრამ ვინც ჩვენამდე მოაღწია, ცოტა არ არის. აწყურის ეპისკოპოსი იწოდებოდა **მაწყვერელად**. პირველი ეპისკოპოსი, ვისი სახელიც ჩვენამდე შემორჩა არის იოსები, რომელიც მოღვაწეობდა მე-6 საუკუნის დასაწყისში. **(„Православная энциклопедия“** ტ. IV, 2002წ. გვ. 222). მე-6 საუკუნიდან მოყოლებული, ბოლო ეპისკოპოსი, ვისი სახელიც ვიცით, იყო გედეონი, ვინც უკვე სულთნისგან მიიღო აწყურის კათედრა **(„Православянская энциклопедия“,** გვ. 222).

ეპისკოპოსთა შორის გამორჩეულია ეფრემ დიდი მაწყვერელი (კათედრას უძღვებოდა 855-895 წლებში), გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, რომლის შესახებ გიორგი მერჩულე წერს; „დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ იქმნა ქყუეყანა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავლისა კათოლიკოსთა მიჰრონი იერუსალემით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულითა“. ა. იუნუსოვის მიხედვით, როდესაც **გურებმა აზგური** დააარსეს, საბირები ცხორვობდნენ მთელ მესხეთში და, რა თქმა უნდა, აწყურშიც. საინტერესოა, საეპისკოპოსი ცენტრში რა სარწმუნოებისანი იყვნენ საბირები, ან რა ენაზე საუბრობდნენ? იქ, სადაც აწყურის საეპისკოპოსო იყო, ბუნებრივია, მრევლიც ქართველი ქრისტიანი იყო.

რატომღაც ზოგიერთ სომეხ, აზერბაიჯანელ და თურქ მეცნიერს ნერვებს უშლის ყველაფერი ქართული და ქართველი მოსახლეობა. საბირებისა და გურების კვალდაკვალ ქართველების ადგილი აღარ რჩება ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე.

როდესაც ოსმალები ან რუსები აღწერდნენ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს და იქ ქართულ მოსახლეობაზე მიუთითებდნენ, არ მოსწონთ ასეთი რამ ზემოთ მითითებულ მეცნიერებს. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ბატონი ა. სანოსიანი ასეთ რამეს წერს ქართველ მეცნიერზე, აკადემიკოს ს. ჯიქიაზე: **„В 1595 г. здесь была произведена перепись населения и составлен налоговый реестр домов (семей). В реестре приводится имена представителей семей, в большенстве своем армянские. „Большой давтар (реестр) Гюрджистанского вилайета“ перевод с турецкого на грузинский и издал в 1941 г. С. Джикия. Сей ученый муж не пожелел сил и стараний, дабы извратить армянские имена, сделать их грузинскими, а если не удавалось - непонятными (Саносян,** გვ. **36)**“.

ა. სანოსიანს ეშლება ერთი რამ, რომ მხოლოდ თარგმანი არ გამოუცია ბატონ ს. ჯიქიას, გამოცემულია **„დავთრის“** ტექსტი პირველი ტომის სახით. ამასთანავე თითოეული აუხსნელი სიტყვა მოცემულია დედნის სახით და პატივცემულ ა. სანოსიანს შეეძლო წაეკითხა იგი **„სწორად“,** სომხურად.

რაც არ უნდა დაპირისპირებულნი იყვნენ ზოგიერთი სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერები ერთმანეთთან, ერთ პლატფორმაზე დგანან, როდესაც საქმე ეხება საქართველოს და ქართველებს. რატომ? იმიტომ, რომ მათ მხოლოდ ტენდენციური, საკუთარი მიდგომა აინტერესებთ. და კიდევ ერთი, მათი აზრით ქართველები მომაკვდავი ერია, არ მრავლდებიან, ჩვენ ვმრავლდებით, მოვასწროთ და შევიქმნათ ისტორია, მოვასწროთ და დავიკავოთ ადგილი საქართველოში, რომელიც მალე იქნება ქართველების გარეშე! კიდევ კარგი, პატივცემული ა. სანოსიანი არ ამბობს, რატომ აწერია გურჯისტანის ველაიეთი და არა ჰაიასტანის ველაიეთიო აღნიშნულ **„დავთარს“**. თუმცა ისე გაერთო **„ისტორიული“** და **„ონომასტიკური“ „კვლევით“** პატივცემული მეცნიერი, რომ მალე მსგავს რამესაც ვიხილავთ.

ოსმალები კარგად არჩევენ გურჯისტანსა და ჰაიასტანს. მათ კარგად იციან ვინ ცხოვრობს საქართველოში. და თუ იქ სომეხიც ცხოვრობს, არის მიგრანტი, ისევე როგორც მიგრანტთა შთამომავლები არიან დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის მოსახლე სომხები, რომლებიც საქართველოს ამ კუთხემ შეიკედლა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, გადაარჩინა ცნობილ გენოციდს.

ოსმალები, როდესაც აღწერდნენ გურჯისტანის ვილაიეთს, დიაკრეტიულ ნიშნებს ხმარობდნენ. მათთვის გაუგებარი ქართული ბგერები სპეციალური ნიშნებით იყო აღნიშნული, რაც საშუალებას აძლევდა ს. ჯიქიას სწორად წაეკითხა სახელები და გადმოეცა. ა. სანოსიანი პათეტიკურად აცხადებს: **„Как я уже сказал, большинство имен и топонимов армянские: (1. Купра? 2. Манвел, его брат. 3. Вардзел. 4. Мазман. 5. Егия. 6. Геворк и др.) (Саносян,** გვ. 37).

ჩამოთვლილი სახელებიდან (კუპრა, მანველ, ვარძელ, მაზმან, ეგია, გევორქ) გამოსაყოფია გევორქ, რომელიც სომხებს ჰქვიათ მართლაც, მაგრამ 1595 წელს, როდესაც ოსმალებმა აღწერეს აწყურის რაიონი ახალციხის ლივაში, ამ სახელის ადამიანი აწყურში არ ცხოვრობდა (იხ. ჯიქია, 1941 გვ. 89-90). სომხური ეთნოსის წარმომადგენელი ჩანს ერთი ოჯახი, რომლის სახელიც ამოუკითხავია, მამით კი არის ტერაკოფას ძე არის აგრეთვე ტერსიმონი, რომელიც სომხური წარმომავლობისა უნდა იყოს.

რატომღაც ა. სანოსიანმა კითხვის ნიშანი დაუსვა კუპრას (იხ. ციტატა). ეტყობა, მისთვის ამ სახელის მნიშვნელობა რომ გაუგებარია, იმიტომ! კუპრა ქართული ანთროპონიმია, ცნობილი სახელია. მისგან გვაქვს ცნობილი ქართული გვარები: **კუპრავა, კუპრაძე, კუპრაშვილი, კუპრეიშვილი** და სხვა.

მე-9 საუკუნეში მესხეთში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ერქვა **კუპრა**, რის შესახებაც მოგვითხრობს გიორგი მერჩულე თავის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. „წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქვა კუპრა, წინაშე დედოფლისა და მის შენდობისა თხოვად (გიორგი მერჩული, 1949, გვ. 108)“.

მე-13 საუკუნეში ცხოვრობდა **კუპრას ძე - „მესხეთს მცხოვრები, დავით ნარინის თანამეცხედრემ, თამარ დედოფალმა, იგი საღვინედ შესწირა გელათის მონასტერს“** (1260-1270 წწ.) (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1999 წ. გვ. 540). შემდეგ საუკუნეებში გვხვდება **კუპრაძე ბერა, კუპრაძე დათუნა, კუპრაძე ნასყიდა, კუპრაძე პაატა** და სხვანი. მე-17 საუკუნეში იყვნენ: **კუპრაშვილი გიორგი - „მოწმე მთაწმინდის მონასტრის მამის იაკინთეს მიერ წერეთლის ასულ გულობუდახისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა“**; **კუპრაშვილი გოგია - „ცუცხათს მცხოვრები გლეხი, ქაიხოსრო აგიაშვილის ყოფილი ყმა, იგი ცოლ-შვილით,**

გაგრძელება მე-12 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა. ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.

ცეცხლთაყვანისმცემლობა სპარსელების ეროვნულ სარწმუნოებად ითვლებოდა და უზენაესი პატივისცემა და სახელმწიფოში ძლიერი გავლენა სასანელთა გვარეულობის შაჰან-შაჰების დროსა ჰქონდა. სპარსეთიდან ეს სარწმუნოება მის მეზობლობაშიაც მალე გავრცელდა, სხვათა შორის საქართველოშიაც. მას შემდეგ, რაც საქართველოში ხალხმა ქრისტიანობა მიიღო, სპარსეთის მთავრობა თავის მოვალეობადა სთვლიდა, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობისათვის საქართველოში ყოველგვარი მფარველობა გაეწია; ხოლო როცა იგი იბერიაში გაბატონდა, ქრისტიანებს რამდენჯერმე დევნა დაუწყო და მაზდეიანობას ძალით ავრცელებდა. ცეცხლთაყვანისმცემლობა არამც თუ საქართველოს აღმოსავლეთს ნაწილში იყო გავრცელებული, არამედ დასავლეთშიაც, კოლხიდაშიც. აპოლონი როდოსელი მოგვითხრობს, რომ კოლხები დიდ დანაშაულად სთვლიან თუ ვინმემ მამაკაცის გვამი ან დააწვევინა, ან მიწაში დაასაფლავა, ან ზედ ყორღანი დააყრევინა; ასეთ გვამებს ისინი ხარის ტყავში ჩასდებენ და ქალაქს გარედ ხეებზე ჩამოჰკიდებენ ხოლმეო. მაგრამ დედამიწასაც თავისას აძლევენ და დედაკაცებს მიწაში ჰმარხავენო. უეჭველია ეს ცნობა იმას ამტკიცებს, რომ კოლხები მაზდეიანობის მოძღვრების აღმსარებელნი ყოფილან; იმიტომ, რომ მხოლოდ ამ სარწმუნოებაშია აკრძალული ადამიანის გვამის მიწაში დასაფლავება; მხოლოდ იქ არის აღკრძალული ადამიანის გვამის ცეცხლით დაწვა იმიტომ, რომ ცეცხლი წმინდა სტიქიონად ითვლებოდა და არარა უწმინდური მას არ უნდა შეჰხებოდა.

იბერიაში რომ მაზდეიანობა გავრცელებული იყო, ამის შესახებ პირდაპირი ცნობებიც მოგვეპოვება. ცეცხლთაყვანისმცემლებს მცხეთაში საკუთარი სამლოცველო და ცალკე უბანი ჰქონდათ, რომელსაც **"მოგვთაი"** ერქვა; აქვე იჯდა მოგვების ეპისკოპოსი **"მობედან-მობედი"**, რომელიც **"მოქცევაი ქართლისაი"**-ს ავტორს შეცდომით ქრისტიანების **"მობიდან ეპისკოპოსად"** გაუხდია (დ. კარიჭაშვილი, **"ვინ იყო მობიდან ეპისკოპოსი?", "მოამბე",** 1901 წელი, №3). მე-V-ე საუკუნეში იბერიაში ისეთი გამწვავებული ბრძოლა იყო ქრისტიანობის და ცეცხლთაყვანისმცემლობის შორის, რომ ოჯახებში განხეთქილება სუფევდა და ერთი წილი მაზდეიანობას ემხრობოდა, მეორე ქრისტიანობას იცავდა (შუშანიკის ცა, 182).

რამდენად ძლიერი და ღრმა გავლენა უნდა ჰქონოდა მაზდეიანობას ქართველ ხალხზე იქიდანა სჩანს, რომ ჩვენ დრომდისაც-კი მისი კვალი ჩვენი ერის რწმენასა და ზნე-ჩვეულებებს ნათლად ატყვია; მაგ. ხევსურეთში მომაკვდავს **"ნარევების"** მეტი არავინ ეკარება; იმათ მიაქვთ მიცვალებული სასაფლაოზე-კი არა, არამედ ერთს ქვითკირის შენობაში, რომელიც სოფლის მოშორებით არის; იქ დაასვენებენ, სანამ გვამი არ გაიხრწნება. ამ **"ნარევებს"** არავინ არ ეკარება, ვიდრე თავს არ განიწმენდნენ, იმიტომ რომ მიცვალებულიცა და ყველა, ვინც მას ხელს შეახებს, უწმინდურად ითვლება. მშობიარობისა და თვიურ დედათა-წესის დროს ჩვენი მთიელები დედაკაცს სოფელში არ აყენებენ, არამედ დაწესებული ვადა სოფლის გარედ **"ქოხში"** და **"ბოსელში"** უნდა გაატარებინათ; ამ დროის განმავლობაში მათ, ვითარცა უწმინდურებს, არავინ ეკარებოდა და ამ შენობებს გზას უქცევდნენ. ეს წესიც, რასაკვირველია მაზდეიანობის ნაშთია. ამავ რწმენის ნაშთად უნდა ჩაითვალოს ის ჩვეულება, როდესაც ჩვენებური პურის მცხობელი პურის ჩაკვრის დროს პირს იკრავს, რადგან ადამიანის სუნთქვა უწმინდურად, ხოლო ცეცხლი წმინდა სტიქიონად ითვლებოდა, ამიტომ მაზდეიანობის მოძღვრები კეთილმორწმუნეებს აგონებდნენ, რომ პური პირაკრული ეცხოთ. მრავალი სხვა ამგვარი ჩვეულებაა შერჩენილი ჩვენს ხალხში, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლობის ნაშთად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ყველას ვერ გამოვეკიდებით. რასაკვირველია რაკი ქართველების ეროვნულ სარწმუნოებად მნათობთა თაყვანისცემა იყო, უეჭველია, საქართველოში შემდეგ შემოხიზნულს მაზდეიანობას სპარსულ მაზდეიანობასთან შედარებით თავისებური ელფერი ექნებოდა; ამის გარდა მაზდეიანობას იბერიაში რასაკვირველია მეტად ექნებოდა ფეხი მოკიდებული, ვიდრე ლაზიკაში.

ქრისტიანობა საქართველოში **ორის მხრით** ვრცელდებოდა: ასურეთიდანა და სომხეთიდან მომდინარე ქადაგებას ფესვები თვით პალესტინაში ედგა და ქრისტიანობის პირვანდელ ხასიათსა და თვისებებს გულმოდგინედ იცავდა. ამ ქადაგების ასპარეზად აღმოსავლეთი საქართველო იყო; კაპადუკიდანა და მცირე აზიიდან მომავალი ქადაგება ელლინური იყო და ბერძნულ ქრისტიანობის ელფერი ედო. ამის ასპარეზად დასავლეთი საქართველო იყო. რასაკვირველია სარწმუნოებრივი და ყოველგვარი მოძღვრება ისეთი რამ არ არის, რომ მის გავრცელებასა და მოქმედების ასპარეზის მკაფიოდ შემოფარგვლა და განსაზღვრა შეიძლებოდეს. კაპადოკიურ ქადაგებას იბერიაშიც ჰქონდა გზა გაკვლეული, სამხრეთით მიმდინარე ქრისტიანობასაც ლაზიკაშიც ეყოლებოდა მომხრე, მაგრამ ზემოადნიშნული ასპარეზების განსაზღვრა იმაზეა დამყარებული, თუ საქართველოს რომელ კუთხეში რომელ მოძღვრებასა ჰქონდა **ბანსაკუთრებული** გავლენა.

ქრისტიანობას საქართველოშიაც სხვა ქვეყნებივით დიდი ბრძოლა და დიდი რყევა უნდა გამოეარნა, მაგრამ ამ მხრივ ჩვენი საეკლესიო მწერლობა ჯერ შესწავლილი არ არის, ხოლო გამოქვეყნებულ იმდროინდელ თხზულებებში მხოლოდ მკრთალი აჩრდილია შერჩენილი. რომ იბერიაშიც ერთ დროს ნესტორიანებას ბევრი მომხრე ჰყავდა, ამის შესახებ ცნობები მოიპოვება ქართველ კათალიკოზის კირიონის წერილშიცა და პაპი გრიგოლ I-ის საპასუხო ეპისტოლეშიც: თვით ეპისკოპოზთა შორისაც თურმე ნესტორიანები ყოფილან. რასაკვირველია ამ მოძღვრების მიმდევართ თავიანთ მოწინააღმდეგეებთან გამწვავებული ბრძოლა და პაექრობა ექნებოდათ, როცა ჩვენი ძველი მწერლობა შესაფერისად შესწავლილი იქნება, ამ ბრძოლის შესახებ იმედია ბევრი საყურადღებო მასალა აღმოჩნდება. მონოფიზიტობასაც ერთს დროს მრავალი მომხრეები ჰყავდა, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ მექნება ლაპარაკი, ეხლა კი ქართულ ეკლესიის წესწყობილება უნდა აღვწერო მოკლედ.

ქართული ეკლესია მე-VI-ე საუკუნეში 35 საეპისკოპოსო საწმყსოსაგან შესდგებოდა. ყველგან, ცურტავის საწმყსოს გარდა, წირვა-ლოცვა ქართულად სწარმოებდა; ცურტავშიკი მე-VII საუკ. დამდეგამდე სომხურად უწირიათ; ამ ეპარქიაში მცხოვრებთა ერთი წილი სომხობა ყოფილა, მეორე, ვგონებ, უმრავლესი წილი ქართველობა. **ქართულ ეკლესიის თავად კათალიკოზი ითვლებოდა;** კათალიკოზობა პირველად ვახტანგ მეფის დროს დაწესდა, დაახლოვებით 460-484 წლებს შუა – **"თავი იგი ეპისკოპოზთა სამოელ პირველი კათალიკოზი"** მოხსენიებულია შუშანიკის მარტვილობაში. კათოლიკოსობის დაწესების შემდგომ ქართული ეკლესია დამოუკიდებელი იყო. მას 35 ეპისკოპოსი ემორჩილებოდა; იმათ გარდა მღვდელმსახურთა დასს ქორეპისკოპოსები, ხუცესნი, დიაკონნი და სჯულის მეცნიერნი შეადგენდნენ. ქართლისა კათალიკოსი მუდმივ მცხეთაში ბინადრობდა, მაგრამ, სასახლე ტფილისშიაც ჰქონია.

სხვებზე მეტად სამი სალოცავი იყო მთელ საკათალიკოზოში განთქმული: **"მცხეთის ჯვარი", "მანგლისის ჯვარი"** და **"ბოლნისის ჯვარი"**. დიდ-დიდ აზნაურებს საკუთარი კარის ეკლესიაცა ჰქონიათ, მაგალითად, ქართლის პიტიახშმა არშუშამ რომ ქრისტიანობა მიიღო და ცეცხლთაყვანისმცემლობას თავი დაანება, **"აღმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენა"** (შუშანიკის ცა, 184); საკუთარი მოძღვარი, ხუცესიცა ჰყოლიათ (**ibid**. 183). წმინდათა თაყვანისცემა და მსახურებაც უკვე მე-V-ე საუკ. ძალიან გავრცელებული ყოფილა და კერძო პირებსაც-კი დიდ-დიდ აზნაურთა წრეებში **"წმიდანი ნაწილნი მოწამეთანი"** სახლში ჰქონიათ (**ibid**. 184). აღთქმის დადება (**ibid**. 188), იერუსალიმში გამგზავრება და წმინდა ადგილთა მიმოხილვა-მოლოცვა იცოდნენ თურმე (**ibid**. 188). ლოცვის დროს **"ქუეწარსაგებლად კილიკი"** უხმარიათ (**ibid**. 189). დიდმარხვა სწამდათ და ზოგიერთნი ისე ბეჯითად ინახავდნენ თურმე პურს არ ეკარებოდნენ (**ibid**. 189). ცისკრისა და მწუხრის ჟამობის გარდა, თუ სხვაგვარი რამ წირვა კიდევ არ იცოდნენ საბუთებიდან არა სჩანს.

როგორც ეტყობა მიცვალებულზე წირვა და ანდერძის აგება ჯერ არა სცოდნიათ: მიცვალებულის გვამის განბანვისა და სუდარით შეგრაგნის შემდგომ სამღვდელოების წინაძღოლით **"ფსალმუნითა სულიერითა და კეროვანებითა აღნთებულითა და საკმევლითა სურნელებითა"** (**ib**. 192). შენახულია აგრედვე ცნობა მაშინდელ გლოვის წესის შესახებ და როგორც ეტყობა აწინდელს, დასავლეთ საქართველოში ჩვენ დრომდე შერჩენილს, წესს მიაგავდა: მაშინაც თურმე **"ტიროდეს და იცემდეს მკერდსა და იბძარვიდეს ღამეთა"** (**ib*.** 187).

რამდენად საინტერესო უნდა იყოს ამდროინდელი ქართული საეკლესიო მწერლობა, ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაც საუცხოვოდ ამტკიცებს. ამ თხზულებაში სხვათა შორის მოთხრობილია სახარების შინაარსი, მაგრამ ჩვეულებრივ დედნისაგან ბევრში განირჩევა და განსხვავდება. ამის შესახებ დაწერილია კიდეც გერმანულად ცალკე გამოკვლევა, რომელიც ამ სტრიქონების ავტორსა და ბერლინის უნივერსიტეტის პროფ. ად. ჰარნაკს ეკუთვნით; ამიტომ ამ საკითხს აქ დაწვრილებით აღარ შევეხები, მოვიყვან მხოლოდ ორიოდ მაგალითს: ჩვეულებრივ სახარებაში იესო ქრისტე თავის მოდვაწეობას გალილეაში აწყობს და მხოლოდ შემდეგ გადადის იერუსალიმშიც, ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში-კი იესო ქრისტე იმთავითვე იერუსალიმში იწყობს მოქმედებას;

შემდეგ ამ ცხოვრებაში ქრისტეს ზღვაზე ვითარცა კმელად სიარულის სასწაული ისეა მოთხრობილი, რომ **"ქრისტე და მოწაფენი მისნი განვიდოდეს ზღუასა მას ვითარცა კმელად და ფერხნი მათნი არა დაილტვნეს"**-ო; ეშმაკეულის განკურნების შემდგომ ჩვეულებრივ სახარების დედანში იესო ქრისტე ეშმაკებს ზღვაში უშვებს, ამ თხზულებაში კი ნათქვამია: **"ქრისტე უბრძანა ქვეყანასა და განეღო და დანთქა ეშმაკი იგი და შთაგდო ჯოჯოხეთად ქუესკნელად"**-აო; ამაღლების შესახებ მოთხრობილია, რომ იგი **"მთასა თაბორსა"** მოხდაო, ჩვეულებრივ სახარებისამებრ-კი ამ მთაზე ფერისცვალება მომხდარა; შემდეგ სულის წმინდის მოფენის ამბავი ისე-კი არ არის მოთხრობილი. როგორც **"საქმე მოციქულთა"**-შია, არამედ **სულ სხვანაირად: ამაღლების ორიოდ წუთის წინ იესომ დაარიგა მოწაფენი და დალოცა, ხოლო შემდეგ "მოციქულთა მათ შთაბერა სული ცხოველი და რქუა მათ მიიღეთ სული ცხოვრებისა და წარვედით თქვენ... და ნათელს სცემდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისაითა"**-ო.

საზოგადოდ სახარების დედნებში, რა ენაზედაც უნდა იყოს იგი ნათარგმნი, მცირეოდენს განსხვავებასაც-კი იშვიათად ნახავს მეცნიერი, ამგვარი მსხვილი გარჩევა ხომ არსად მოიპოვება. მით უფრო ძვირფასია და საყურადღებო ევსტათე მცხეთელისა ცხოვრებაში მოყვანილი სახარების დედანი; **შინაარსით ეს სახარება იმდენად განირჩევა ჩვეულებრივი დედნისაგან, რომ უეჭველია ჩვენში რაღაც ჯერედ უცნობი ტატიანეს "დოატესსარონ"-ის მაგვარი სახარება უნდა ყოფილიყოს გავრცელებული.** თუ რომ შემდეგში ამავე დროის ქართული საეკლესიო მწერლობა, მეტადრე რაჟდენისა და 13 ასურელ მამათა თავდაპირველი ცხოვრებანი აღმოჩნდება, მაშინ უეჭველია მეცნიერება ბევრს ახალსა და საყურადღებო ცნობებს შეიძენს ჩვენის ეკლესიისა და ქრისტიანობის იმ დროინდელი მდგომარეობისა და ცხოვრების შესახებ.

ნესტორიანობის შემდგომ ქრისტიანობა ორ მებრძოლ ბანაკად ეგრედ წოდებულმა მონოფიზიტობამ განხეთქა,– კამათმა იესოს ბუნების შესახებ: ორი თუ ერთი ბუნება უნდა ჰქონდა იესო ქრისტეს. ქალკედონის 451 წლის მსოფლიო კრებამ ორი ბუნება აღიარა. აღმოსავლეთის ქრისტიანობის უმეტესობამ უარჰყო ამ კრების დადგენილება. საქართველოსა და სომხეთში გაბრიელ ქართლისა კათალიკოზისა და ბაბგენ სომხითის კათალიკოზის დროს (488-531) ამ საგნის თაობაზე ადგილობრივი საეკლესიო კრება იყო მოწვეული და ორივ ეკლესიის წარმომადგენლებმაც ქალკედონის დადგენილება მწვალებლობად იცნეს და იესო ქრისტეში ერთი ბუნება აღიარეს, მონოფიზიტობას მიემხრნენ. მაგრამ ამის შემდგომ ასი წლის განმავლობაში ქართველ სამღვდელოებასა და ხალხს თანდათან აზრი შეუცვლია და ქალკედონის კრების დადგენილებას მიჰმხრობია. ამ დროს ეს სადავო საკითხი სხვა ქვეყნებშიაც უკვე გადაწყვეტილი იყო; მთელი იტალია და რომის ეკლესია, ბერძნების ეკლესიებიც მართლმადიდებელ რწმენად მარტოოდენ ქალკედონის აღსარება აღიარეს და მონოფიზიტობა მწვალებლობად იცნეს.

ამაზე მოუვიდა უთანხმოება ქართველ და სომეხ სამღვდელოებას. ეს უთანხმოება იმდენად გამწვავდა, რომ სამუდამო განხეთქილებით დამთავრდა. უსიამოვნება ცურტავის ეპისკოპოსმა მოსემ ჩამოაგდო. იგი გვარტომობით სომეხი იყო, აღზრდა ცურტავში მიეღო და ქართულიც იქ შეუსწავლია. ქართველ ეპისკოპოსთა შორის მე-V-ე საუკუნის დასასრულს მხოლოდ ეს მოსე-ღა მდგარა მტკიცედ მონოფიზიტობაზე. ქართლის კათალიკოზმა კირიონმა მოსე დაიბარა და მისი დასჯა მოიწადინა. კათალიკოზი მას რაღაც დანაშაულობას აბრალებდა. ტფილისში ჩამოსული მოსე ეპისკოპოსი კირიონმა გაჯავრებულ გულზე არ მიიღო და მცხეთაში გაემგზავრა. ცურტაველმა ეპისკოპოსმა რომ შეატყო, ჩემი საქმე ცუდად არისო, თავის საწმყსოს თავი მიანება და სომხეთში გაიქცა და იქაურ სამღვდელოებას დახმარება სთხოვა; ქართველები ქალკედონის მოძღვრებას მიემხრნენ, მონოფიზიტობისათვის განმდევნეს და მომეშველეთო. ჯერ სომეხთა კათალიკოზის მოადგილემ, მერე თვით კათალიკოზმა აბრაამმაც მხარი მისცეს ცურტაველ ეპისკოპოსს და ქართველ სამღვდელოებასა და დიდებულებს წერილი გაუგზავნეს. ამის გამო სომეხთა კათალიკოზის აბრაამისა და ქართველთა კათალიკოზის შორის ცხარე მიწერ-მოწერა ასტყდა. აბრაამი ურჩევდა ქართველებს, ბერძნებს ნუ მიემხრობით და მოსწყდებით სპარსეთის ქრისტიანობასაო, ჩვენ ყოველთვის ურთიერთმანეთში ძმურად გვიცხოვრია, რად აგდებთ სამუდამო მტრობასაო? კირიონმა უპასუხა, ჩვენ არ შეგვიძლიან მთელ ქრისტიანობას, რომისა, კონსტანტინეპოლისა, ანტიოქიისა, ალექსანდრიისა და იერუსალიმის ეკლესიებს ზურგი შევაქციოთ და მარტო თქვენა და აღმოსავლეთის ქრისტიანებს მივემხროთ, მარტო თქვენ გიცნათ უცდომელი და მართალიო; ამიერითგან ამ საგანზე წერას თავი დაანებე, თორემ არავითარ პასუხს არ მიიღებო. ამის შემდეგ 607 წელს სომეხთა კათალიკოზმა აბრაამმა თავის საწმყოს ეპისტოლე მისწერა და გამოუცხადა: ქართველები და ალბანელები მწვალებლები არიან, მათთან არაფერი საზიარო არ გქონდეთ,– არც ლოცვაში, არც საჭმელ-სასმელში, არც შვილების აღზრდაში, არც ცოლ-ქმრობაში; შეგიძლიათ მხოლოდ ივაჭროთ იმათთან როგორც ურიებთანაო. ამგვარად უთანხმოება-განხეთქილება დამთავრდა. ქართველები საბერძნეთსა და დასავლეთს მიემხრო, სომხების ერთი უფრო გავლენიანი წილი-კი აღმოსავლეთის, ასურეთისა და სპარსეთის ქრისტიანებს; სომხების მეორე წილი-კი, განსაკუთრებით დასავლეთით მობინადრე, ქართველებსავით ქალკედონის კრების დადგენილებაზე იდგა. თუმცა ამ დროს იბერია სპარსეთის ხელში იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სპარსელებმა მეფობა მოსპეს, ქართველები არც-კი მალავდნენ, რომ მათ სპარსელები სძულთ და სულ განთავისუფლებასა ნატრულობდნენ. ასეთს მდგომარეობაში ქართველები სპარსელებს რას მიემხრობოდნენ... კირიონმა ცურტავის ეპისკოპოსად მოსეს მაგიერ ვიღაც ასური დანიშნა და იქაურ ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვაც შემოაღებინა. ამიერითგან ქართულ ეკლესიაში ეროვნული მიმართულება იკიდებს ფეხს და მტკიცდება, მაგრამ რაკი ეს არაბების ბატონობის დროს მოხდა, ამის შესახებ ამ თხზულების მეორე ტომში იქნება ლაპარაკი.

ПРОБЛЕМЫ САМИ ПО СЕБЕ НЕ ВОЗНИКАЮТ, ПРОБЛЕМЫ СОЗДАЮТ НЕДАЛЬНОВИДНЫЕ ПОЛИТИКИ

Накануне смоделированной **«смерти»,** уготованной президенту Грузии тбилисской телекомпанией **«Имеди»** в бредовом выпуске новостей от 13 марта 2010 года, Михаил Саакашвили излучает жизнерадостность и пышет креативом по поводу и без оного. Скандальный телесюжет он одобрил и счел максимально приближенным к реальности. Однако окунуться в нее никак не желает и продолжает плескаться в виртуальности, обдавая окружающих брызгами несусветных спичей и малоадекватных поступков, что служит пищей для медиков и юмористов. Это гарантированно обеспечивает грузинскому лидеру специфический рейтинг и популярность.

И весь его **«жизненный сок»**, оказывается, составляет примитивную двухкомпонентную рецептуру, которую составляют мании и фобии. Но если их перед употреблением энергично не взбалтывать, они расслаиваются и оставляют дурственное послевкусие.

Мании и фобии грузинского президента общеизвестны. Панический страх у него вызывают российский премьер, шум самолета в небе, боязнь лишиться каких-то частей своего тела, месть родственников погибших осетин и абхазов в результате нападений Тбилиси на Цхинвал и Сухум, утрата поста главы государства, обеспечивающего надежную физическую защиту и иммунитет от уголовного преследования. Все это неоднократно документально зафиксировано и подтверждено.

Ну, а про манию, что Грузия **«самая-самая»** во всем мире, что само собой подразумевает и **«самого-самого»** ее президента, уже и говорить не приходится. Вот это уж, действительно, безбрежное море для креатива и умопомрачительных фантазий Саакашвили. В его представлении Грузия вся — из кисельных берегов и молочных рек. Увы, соплеменники на своей шкуре испытывают обратное. Всего 15% населения считает, что **«жить стало хорошо, жизнь стала веселее».**

В экономическом отношении реальные показатели республики не могут вселять оптимизма. Совокупный внешний и внутренний долг страны подступает к 10 млрд долларов, что достигает 80% ВВП. В 2013 году Грузии предстоит начать платить по внешним заимствованиям, что может раздавить государственный бюджет и привести к дефолту.

Страна набрала таких кредитов, что каждый новорожденный грузин и не мечтает о серебряной ложке во рту, ибо он автоматически обременяется долгом в 12 тыс. долларов. Для рядового обывателя это малосущественно, его больше заботит то, что власть самоустранилась от выполнения обязательств по компенсации вкладов населения в советские сберкассы. Взамен народу подсунули косточку бесплатной приватизации жилья, в основном обветшавшего и требующего значительных расходов на содержание и текущий ремонт.

Саакашвили не отрицает, что часть грузин живет в нужде, но неустанно раздает налево и направо обещания райских кущ. Для чего и создает соответствующий антураж в виде амбициозных проектов строительства **«самых-самых»** объектов и сооружений. Как, например, **«самый лучший в Восточной Европе»** международный аэропорт в Тбилиси. Невезучий, однако: то крышу ветром снесет, то ливень сквозь щели затопит здание.

На днях обрадовал началом строительства **»самого большого универмага на побережье Черного моря»** в Батуми. Аж в 50 тыс. кв. м. Хотя в Сочи торгово-розничный комплекс в два с лишним раза просторнее. Да и в столице Грузии здание центрального железнодорожного вокзала переоборудовали в торговый комплекс, сопоставимый по площади с будущим универмагом в Батуми.

Саакашвили тронул сердца соотечественников тем, что им с открытием магазина в столице Аджарии не придется за шопингом отправляться в Дубай, Париж или Лос-Анджелес. Да многим из них не наскрести денег даже на поездку в Батуми!

Выступления и публичное поведение президента **«самой-самой»** в мире страны все отчетливее напоминает приемчики зазывалы дешевого циркового балагана или шоумена средней руки. Сегодня он может эффектно в шлеме гонщика прокатиться за рулем гоночного автомобиля по транспортной развязке в центре Тбилиси, спроектированной в советские времена, а на следующий день там же вырядиться аки Рембо в американский камуфляж и открыть монумент **«борцам за свободу и независимость Грузии против России»**. Кстати, тбилисские острословы язвительно нарекли это сооружение памятником **«свободы и независимости от здравого смысла»**. А **«мост мира»** в древнем центре столицы из-за странной схожести по форме с известным средством гигиены назвали **Always**.

Но вот примерить высотный гермошлем летчика Саакашвили навряд ли удастся. Просочившиеся в прессу сообщения о том, что президентский авиалайнер за 7 млн долларов оборудовали индивидуальной катапультой для первого лица Грузии, не совсем точны. Катапульта дешевле, но далеко не спортивный образ жизни президента не позволит ему вынести значительные перегрузки при ее отстреле. А вот оборудовать самолет индивидуальной герметичной капсулой с парашютом для экстренной эвакуации технически вполне реально. Но не на низких высотах.

Поэтому президенту Грузии предпочтительнее сменить воздушный транспорт на морской, в оснащение которого войдет и минисубмарина, как, например, на океанской яхте Абрамовича.

Главная фишка Саакашвили — **«большой и страшный русский медведь»**. Им он пугает заморских покровителей, чтобы восстановить свою изрядно подмоченную репутацию, пугает и соотечественников — чтобы списать на **«злой Кремль»** собственные провалы и глупости. Порой при этом перестает контролировать свою речь: Саакашвили на встрече с ведущими журналистами страны брякнул, что то время, когда **«в Москву за 37 рублей ездили поглазеть на наташ, уже не вернется».**

А вконец уязвленный обвинениями в том, что Грузия управляется из Вашингтона, президент пафосно и невпопад заявил на параде 26 мая: **«Наша нация не смирилась с лишением чести и достоинства, не оставила мечту о независимости и свободе, всегда побеждала врагов и победила тем, что все они вымерли, для них осталось место лишь на страницах истории. Грузия снова существует. Нас много раз заставляли падать, но мы никогда не теряли желания подняться. Снова существует грузинская нация, не сломленная, как и со дня ее рождения».**

Как говорится, **the show must go on** — шоу должно продолжаться! Удивительно, как все это по смыслу напоминает мирское причащение — прощальную песню умирающего солиста английской рок-группы **Queen** Фредди Меркьюри. Он вошел в историю, **Саакашвили — вляпался**.

Одним словом, **проблемы сами по себе не возникают, проблем создают недальновидные политики...**

АЛЬБЕРТ ВЕНАЛАЙНЕН

მოშიმშილე ვეტერანები და დანაყრებული წამქეზებლები

მე სამი ბიჭის მამა ვარ. 2008 წლის სექტემბერში, როცა ომის ხანძარი ჩამცხრალი იყო და დასავლეთიდან საქართველოს დედაქალაქისკენ ავტომანქანით გადაადგილებისას აგრესიის აშკარა კვალი მხოლოდ მარჯვნივ დარჩენილ გორში ჩანდა, ორი უმცროსი ბიჭი გაფართოებული თვალებით შესცქეროდა ნახანძრალ ქალაქს.

როცა გორს გავცდით, გზაზე ჩვენი, ქართული არმიის კუთვნილმა რამდენიმე ღია სამხედრო მანქანამ გაგვასწრო, რომლის ბორტზე ქართველი ჯარისკაცები ისხდნენ. ჩემს პატარებს თვალებში სიხარული ჩაუდგათ და მთხოვდნენ, სიგნალით გამომეხატა მათდამი პატივისცემა, რაც გავაკეთე კიდეც. ერთი და იგივე სურათი მეორდებოდა: ლაშა და ლუკა სალონში ცმუკავდნენ, წამდაუწუმ, უკვე ჩემგან დაუკითხავად აჭერდნენ ხელს საყვირს და ქართველ ჯარისკაცებს ხელს უწევდნენ. ისინიც ღიმილით და ხელის აწევით პასუხობდნენ...

სწორედ ეს ეპიზოდი გამახსენდა, როდესაც გმირთა მოედანზე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების ვეტერანთა შიმშილობის აქციის დაშლის შესახებ შევიტყვე. აფხაზეთის ომის დასრულების პირველ წლებში ისინიც ისეთივე პატივისცემით და საყოველთაო ყურადღებით სარგებლობდნენ, როგორც ახლანდელი ქართული არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები: უწყობდნენ საღამოებს, ქუჩაში შეხვედრილთ სიყვარულნარევი მზერით აცილებდნენ, უფასოდ უშვებდნენ მეტროში და ბილეთებს არ სთხოვდნენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

სხვა საკითხია, ყველა იმსახურებდა თუ არა ამას, მაგრამ როგორც წესი, ერთი დაფნის გვირგვინი ასეთ დროს ყველაზე ნაწილდება, ამიტომ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ისინი დიახაც გმირები იყვნენ. წაგებული ომის, მაგრამ მაინც გმირები...

იქნებ ჩემი ლირიკა აქ უადგილოა, მაგრამ მაინც მაწუხებს კითხვა: როდიდან არიან ისინი ზედმეტნი და ვის მიუძღვის ამაში ბრალი - მათ თუ სახელმწიფოს? იქნებ, სწორედ სახელმწიფომ ვერ დააფასა სათანადოდ მათი ღვაწლი სამშობლოს წინაშე? იქნებ, სწორედ, საქართველომ მიიღო ომიდან დაბრუნებული ბიჭები არა ისე, როგორც მოყვარულმა დედამ, არამედ როგორც ავმა დედინაცვალმა?

ამერიკაში ერთი ასეთი გამოთქმა არსებობს: **„მითხარი, როგორ ექცევი ვეტერანებს, და გეტყვი, ვინ ხარ შენ...“**- ეს გამოთქმა ვიეტნამის ომის ამერიკელ ვეტერანებს ეკუთვნით და, თუ არ ვცდები, ვაშინგტონში, მათივე ოფისის შესასვლელთან, დიდი ასოებითაა ამოტვიფრული.

თავის დროზე ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებამ ეს ეტაპი გაიარა: ვიეტნამიდან დაბრუნებული ვეტერანებისადმი ზერელე დამოკიდებულების. ჩვენი საზოგადოების მიდგომა ბევრად ჰგავს ამერიკელთა მაშინდელ მიდგომას...

მაგრამ ვიეტნამი ამერიკის შემადგენლობაში არც არასდროს ყოფილა და, კაცმა რომ თქვას, ტერიტორიულადაც - სად ვაშინგტონი და სად ჰანოი. სამაგიეროდ, აფხაზეთი ჩვენი იყო, ახლაც არის და თან არც არის, ის ბიჭები კი, რომლებიც დღეს გმირთა მოედანზე იდგნენ, შესაძლოა წინასწარ გაყიდულ, მაგრამ მაინც საქართველოს ერთიანობისთვის დაწყებულ ომში იბრძოდნენ. იბრძოდნენ იქ, სადაც წასვლა უბრძანეს, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კი, ისევე როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიოს შეიარაღებულ ძალებში, **„ბრძანება ექვემდებარება შესრულებას და არა განხილვას.“**

ვინ იცის, სად იყო მავანი მაშინ, როცა აფხაზეთში მუზები სდუმდნენ და ქვემეხები ქუხდნენ. იქნებ ისინიც, მაშინ ძალიან პატარები, ჩემი შვილების ტოლნი, აღფრთოვანებით შესცქეროდნენ იმ სამხედრო ფორმას, რომლებიც დღეს მოშიმშილე ვეტერანებს ეცვათ... მართალია, არც მაშინ იყო ყველა იმ ფორმის ტარების ღირსი და არც ახლაა ყველა გულანთებული პატრიოტი, ვინც საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმას ატარებს, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის. ამავე დროს, არც ქალზე ხელის აღმართვაა მუნდირისთვის შესაფერისი საქციელი.

სულ სხვა საკითხია ის, რომ გმირთა მემორიალთან მოშიმშილე ვეტერანების სოციალური პრობლემების სათავისოდ გამოყენებას, როგორც ყოველთვის, პოლიტიკური პარტიები შეეცადნენ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, გუშინ გმირთა მოედანზე პოლიტიკოსების გამოჩენამდე ვეტერანებთან გია ყარყარაშვილი მივიდა, რომელმაც სრულიად მისაღები წინადადება შესთავაზა მოშიმშილეებს: ექს-თავდაცვის მინისტრი ამბობდა, რომ აქციამ თავის მიზანს მიაღწია, მოშიმშილეებმა ყურადღება მიიპყრეს, მათ მიერ დასმული საკითხების მოგვარება დაწყებულია და უნდა დაიშალონ, რადგან დაღუპული გმირების მემორიალთან ასეთი ფორმით აქციის გაგრძელება მიზანშეწონილი არ არის.

ვეტერანთა უმრავლესობას ყარყარაშვილის წინადადება დაშლის შესახებ ჭკუაში დაუჯდა და, კაცმა რომ თქვას, პოლიციელების მიერ დაშლის მოთხოვნისთანავე მათ პლედების და კარვის ალაგება დაიწყეს, მაგრამ პოლიტიკოსების (ამ შემთხვევაში ირაკლი ბათიაშვილის) გამოჩენამ ისევ ყველაფერი თავდაყირა დააყენა: მისი გამოჩენისთანავე ვეტერანებმა ისევ ძველი ადგილები დაიკავეს და დაშლაზე უარი განაცხადეს. ბათიაშვილთან ერთად გმირთა მემორიალთან კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსი თუ პოლიტიკოსობის მსურველი გამოჩნდა - ჩავარდნილი სეზონი ხომ უნდა ამოექაჩათ...

რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ დღეს, ვეტერანთა მხარდასაჭერად დაგეგმილ აქციაში მონაწილეობაზე მზადყოფნაც გამოთქვა და გმირთა მოედანზე მივიდა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ აქცია სოციალურ ქსელებზე, სპონტანურად დაიგეგმა და ორგანიზატორებმა თავიდანვე ცალსახად განაცხადეს, აქცია არცერთი პოლიტიკური პარტიის სახელით არ ტარდებაო.

როგორც ჩანს, სხვების დაგეგმილ აქციებზე სიარული და თავის იქ შერგვა, სადაც მათი გამოჩენა არავის ეპრიანება, ქართველი პოლიტიკოსების მთავარ ჰობად იქცა. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ბათიაშვილი და სხვა პოლიტიკოსები აქციის დაშლას ვერ დაუშვებდნენ, რადგან მოსკოვში მყოფ ყოფილ **„ბატიას“**, თენგიზ კიტოვანს ამ აქციასთან დაკავშირებით საკუთარი მიზნები ჰქონია: კიტოვანი მოსკოვში მყოფ რამდენიმე ჩემს ქართველ კოლეგას ტელეფონით დაკავშირებია და დაუტრაბახია, ჩემი მოშიმშილე ბიჭები საშობაოდ გააქტიურდებიანო...

ყველაზე სამწუხარო სწორედ ეს არის: ოპოზიციონერ პოლიტიკოსებსაც და მოსკოვში მყოფ გვარდიის ყოფილ სარდალსაც ნაკლებად აინტერესებდათ, რა უჭირდათ და ულხინდათ ვეტერანებს, არადა, ყველაზე მეტად გუშინდელი შეტაკების დროს არა ირაკლი ბათიაშვილი, თენგიზ კიტოვანი და სხვები, არამედ ვეტერანები დაზარალდნენ, რომლებიც კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ გამოიყენეს საზარბაზნე ხორცად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანი დავით გარეჯის სადავო ტერიტორიას საქართველოს სხვა სადავო ტერიტორიის სანაცვლოდ დაუთმობს

გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო...

ჯერ კიდევ შარშან გამოვაქვეყნეთ **"ილორში"** წერილი იმის თაობაზე, რომ მუსულმანური აზერბაიჯანი უტიფრად გვედავება საქართველოს ერთ-ერთ ქრისტიანულ რელიგიურ ცენტრს – დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსს და გვიმტკიცებს, რომ ეს ძეგლი მათ შორეულ წინაპრებს ალბანელებს ეკუთვნით და, ამდენად, იგი აზერბაიჯანის საკუთრებაა. მაშინ ჩვენ სრულიად საქართველოს ვაუწყეთ, რომ ქართველ ისტორიკოს ქალბატონს მარიკა ლორთქიფანიძეს დარუბანდის ჭიშკარი და დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ჩირად არ უღირდა!

დღეს ჩვენთან პატრიოტული აღზრდის საკითხი მოიკოჭლებს. და არა თუ ახალგაზრდები, მაღალი რანგის ქართველებიც არ არიან მზად, ისტორიულად დასაბუთებული პასუხები გასცენ მოზღვავებულ ვითომდა მეგობრულად შემოპარულ მტერს. საქართველოს ნაწილებად დაგლეჯის პროცესი დაწყებულია და დიდმა და პატარა მეზობლებმაც იწყეს ჩვენი მიწებისა და ისტორიული ძეგლების მითვისება.

მაშინ ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე მიიწვიეს აზერბაიჯანის მოთხოვნაზე გელათში აღმაშენებელის მიერ ბრძოლით ჩამოტანილი დარუბანდის ჭიშკრის დაბრუნების შესახებ ინტერვიუსთვის. მისი მიწვევა, ამ შემთხვევაში, ისტორიულად დასაბუთებული პასუხის გაცემით იყო განპირობებული. და, ჰოი, საკვირველებავ! ქალბატონმა მარიკამ სრულიად აუღელვებლად გასცა პასუხი. რა ვუყოთ მერე, წაიღონ, თუ მაინცდამაინც, ჩვენ ასლი გავაკეთოთ (ტექსტი დაცულია) და დავიტოვოთ. მეორედ მოწვევის დროს კი ასევე აზერბაიჯანის მოთხოვნაზე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიტაცების შესახებ იგივე ქალბატონი მარიკა პასუხობს ასევე აუღელვებლად: მერე რა, დავით გარეჯის კომპლექსის ერთობლივი ექსპლუატაცია მოხდესო. არ ვიცი, ვინ უყურა ამ გადაცემას და ვის რა შთაბეჭდილება დარჩა, ჩემში კი დიდი გულისტკივილი გამოიწვია და მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო არა მარტო ქალბატონ მარიკას, არამედ მთელ ქართველ ხალხს: აღმაშენებელს ბრძოლით მოპოვებული ჭიშკარი ქათმებისა და ცხვრების დასამწყვდევად კი არ ჩამოუტანია, არამედ იგი საქართველოს მიღწევების ოქროს ფონდად აქცია. რაც შეეხება ასეთი ჭიშკრების ასლების ისტორიულ მნიშვნელობას, ქალბატონ მარიკას ვთხოვთ, ეს ასლი მან აზერბაიჯანს შესთავაზოს და რა პასუხსაც მიიღებს, თავად ნახავს. როგორ დავიჯერო, რომ დავით გარეჯი მას ნამდვილ ქართულ ისტორიულ ძეგლად მიაჩნია, თუ იგი მეწველი ძროხაა, ერთობლივი ექსპლუატაცია გავუწიოთ და ნაწველი შუაზე გავყოთ?

მაშინ იქნებ დაგვეყენებინათ საკითხი, რომ, თუნდაც, იმავე აზერბაიჯანმა დაგვიბრუნოს ჩვენი ტერიტორიები და იქ მცხოვრები ქართველები, ასევე, სომხებმა – ჩვენი უძველესი ციხეები და სალოცავები, თურქეთმა – ტაო-კლარჯეთი და სხვა. თუ ფიქრობთ, რომ იქ ვინმე იტყვის,– მერე რა, დავუბრუნოთო.

ჩვენ კი უფრო შორს მივდივართ და იმაზეც ვთანხმდებით, რომ დავით გარეჯის სანაცვლოდ აზერბაიჯანელებს სოფელი ერისიმედი დავუთმოთ. კულუარებში ამბობენ, რომ ამ დათმობის მიზეზი მარტივია – სოფელი ერისიმედი შორს მდებარეობს და მასზე ხარჯების გაწევა სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი არაა, რადგან იგი ვერავითარ ეკონომიკურ ეფექტს ვერ იძლევაო. ცუდად მენიშნა ეს ფრაზა. როგორც იცით, საქართველოს ხელისუფლებას სამთავრობო სტრუქტურები ქუთაისში გადააქვს, შემდეგ კი გამოაცხადებენ, თბილისის რჩენა არაეფექტური საქმეა და იგი სომხებს გადავცეთო. თუ გავითვალისწინებთ საკაშვილისა და სხვა მრავალთა არაქართულ ეთნიკურ წარმომავლობას, არა მგონია ეს ეჭვი მთლად საფუძველს იყოს მოკლებული.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, სადავო მასთან ჩვენ უფრო მეტი გვაქვს და რატომ არ ვიყენებთ ამ კოზირს, ვერასგზით ვერ ამიხსნია.

როგორც იცით, არაბულ ქვეყნებში, სადაც უდაბნოები სჭარბობს (ამ მხრივ არც აზერბაიჯანია გამონაკლისი) სასმელი წყალი ბევრად უფრო ძვირი ღირს, ვიდრე बენზინი ან სხვა გამაგრილებელი საშუალებები. სხვათა შორის, სწორედ გაზეთმა **"ილორმა"** გამოაქვეყნა დოკუმენტური მასალები იმის თაობაზე, რომ მეზობელ აზერბაიჯანს ყოველწლიურად საქართველოდან უფასოდ გააქვს დაახლოებით 40 მილიონი ევროს ღირებულების (წყლის საფასურის გაძვირების შემდეგ კი ეს თანხა 55 მილიონ ევროს უახლოვდება) უაღრესად ძვირფასი წიაღისეული – სასმელი წყალი, თავად კი საკმაოზე მეტად ძვირად გვაწვდის იგივე წიაღისეულს – საწვავ მასალებსა და ბუნებრივ აირს.

ჩვენ კი, ჩვეული ქართული გულარხეინობით, უფასოდ ვაძლევთ წყალს არც თუ კეთილმეზობლური სურვილებით გაჟღენთილ აზერბაიჯანს, როცა ისედაც გაძვალტყავებულ საკუთარ მოსახლეობას წყლის ხარჯვაში ცხრაპირ ტყავს ვაძრობთ ზურგზე.

ვინ დამარწმუნებს ამის შემდეგ, რომ ეთნიკურად არაქართველ სააკაშვილსა და მის როგორც ეთნიკურად, ასევე სულიერად არაქართულ გარემოცვას საქართველოს მოსახლეობის ბედი აღელვებს! ამ საკითხს საერთოდ არ ეხმიანებიან იმის ფონზეც კი, რომ მალე, გლობალური დათბობის გარდაუვალი პროცესების გამოისობით სასმელი წყალი მთელ მსოფლიოში კიდევ უფრო გაძვირდება. იქნებ ამიტომაც ერეკებიან საქართველოდან დიდ-პატარა სააკაშვილები შიმშილისაგან დაოსებულ და აზრწართმეულ ქართველებს, რომ შემდეგ ეს მართლაც წყალუხვი ქვეყანა თავიანთ თანამემამულეთა საჯირითოდ და ხელსაყრელ კომერციულ პოლიგონად აქციონ.

ახლა კი მკითხველს მცირეოდენ ინფორმაციას მივაწვდით საქართველოს ხელისუფლების მიერ სასმელი წყლის დანაშაულებრივად გაფლანგვის თაობაზე, რომლის მოპოვებაში ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია შპს საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ცენტრმა **"საინჟგეომ"**.

საქართველოს მდინარე იორი, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გაედინება, ტრანსსასაზღვრო ობიექტის სტატუსს ატარებს და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, მისი წყლები, როგორც ზედაპირული, ასევე ფილტრატები, პარიტეტულ საწყისებზე უნდა გადანაწილდეს მფლობელ ქვეყნებს შორის.

ცალმხრივად, სათანადო გამოკვლევების გარეშე, ისარგებლა რა აღნიშნული გარემოებებით, საქართველოს მთავრობის ნებართვით, გასული საუკუნის სამოციან წლებში მდინარე ივრის მარცხენა სანაპიროზე გაიყვანა მილოვანი ჰორიზონტალური წყალმიმღებები, რომელმაც ფაქტიურად შეკრიბა არა საერთაშორისო კანონებით ნებადართული მდინარე ივრის ფილტრატები, არამედ სართიჭალის აუზში განლაგებული დაუნაწევრებელი მეოთხეული ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტის წყლები. ეს წყლები ადრე აგებული დიუკერის მეშვეობით თვითდენით მიეწოდებოდა გამანაწილებელ კამერას, იქიდან კი გადიოდა ჯეირან-ჩოლის საძოვრებზე. უბრალო ენით რომ ვთქვათ, აზერბაიჯანი თვითნებურად, საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევით იტაცებს ქართულ ეროვნულ ბუნებრივ სიმდიდრეს – სასმელ წყალს.

ამრიგად, ქართული წიაღისეულის მიტაცება აზერბაიჯანის მიერ გრძელდება 35 წლის განმავლობაში. აზერბაიჯანის მიერ საქართველოს ტერიტორიიდან ტრანსპორტირებული წყლის წარმოშობის საკითხის დასადგენად 1997 წლის 15 აპრილს შეიქმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ აზერბაიჯანის მხრიდან – მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნ. კაზიბეკოვი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი ნ. იმამალიევი, გეოლოგიისა და მინერალური რესურსების მთავარი კომიტეტის განყოფილების უფროსი ა. ალეკპეროვი, საქართველოს მხრიდან კი იუსტიციის მინისტრის მოადგილე ვ. გვარამია, საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარე თ. ჯანელიძე, შპს **"ჰიდროსაინჟგეოს"** მთავარი ჰიდროგეოლოგი ჯ. გაბეჩავა და სხვები.

ივრის საბადოს ირგვლივ არსებული ჰიდროგეოლოგიური, ჰიდროქიმიური და ჰიდროდინამიკური მასალების შესწავლით და ადგილზე არსებული ვითარების შეფასებით კომისიამ დაასკვნა, რომ წყალმიმღები სისტემა, რომლითაც წყალი მიეწოდება აზერბაიჯანის მხარეს (ჯეირან-ჩოლის საძოვრებს), იკვებება არამდინარეული წარმოშობის წყლებით, ანუ წყლებით, რომელიც ფორმირდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად განლაგებულ სართიჭალის არტეზიული აუზის ფარგლებში და, აქედან გამომდინარე, მას არა აქვს ტრანსსასაზღვრო ობიექტის სტატუსი. ეს დასკვნა გაფორმდა სათანადო ოქმით, რომელსაც ხელი მოაწერეს ორივე მხარის წარმომადგენლებმა.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. აზერბაიჯანის მხარემ მაშინ უკმაყოფილება გამოთქვა ასეთი გადაწყვეტილების გამო და საქმის ხელახალი შესწავლა მოითხოვა. გადაწყდა, რომ ერთობლივ კომისიას გადაემოწმებინა ამ წყლის სტატუსი. ქართულმა მხარემ, იმ მიზნით, რომ დასკვნის კომპეტენტურობაში არავის შეეტანა ეჭვი, დამატებით მოიწვის საერთაშორისო ექსპერტი, ბრიტანელი ბატონი დ. ფინლეისონი.

1998 წელს კომისია ადგილზე გაეცნო არსებულ ვითარებას და დაასკვნა, რომ, ითვალისწონებს რა ჰორიზონტალურ სადრენაჟო სისტემაში წყლის მაღალ დონეს მდინარე ივრის დონესთან შედარებით, განსხვავება მდინარე ივრისა და სართიჭალის აუზის მიწისქვეშა წყლის მინერალიზაციაში, ტემპერატურაში, ქიმიურ შემადგენლობაში და ფიზიკურ მახასიათებლებში, მიწისქვეშა წყლების დინების მიმართულებას ფერდობიდან მდინარისაკენ და არა პირიქით, ეჭვსგარეშე ადასტურებს, რომ სართიჭალის წყალმიმღები სისტემისაკენ მიმავალი წყალი არის საქართველოს ტერიტორიაზე დამოუკიდებლად არსებული ჩაკეტილი ტიპის გეოლოგიურ-სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში განლაგებულ შუა და ზედა მეოთხეულ ნალექებში ფორმირებული წყალი, რის გამოც მას არა აქვს ტრანსსასაზღვრო ობიექტის სტატუსი და იგი საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილებაა. ეს წყალი მოიხმარება ლიცენზიის საფუძველზე, ხოლო საქართველოს პარლამენტის 1996 წლის დადგენილების საფუძველზე, ამგვარი წყალმოხმარება ფასიანია.

საქართველოს ხელისუფლებას მაშინ ეცნობა, რომ უბრალოდ, თუნდაც ზნეობრივად გაუმართლებელია, რომ სხვადასხვა სახის გადასახადებით გაწამებულ საქართველოს მოსახლეობას წყლის ქვეყანაში მაღალი ტარიფით ვახდევინოთ გახარჯული წყლის ღირებულება, წელიწადში დაახლოებით 5 მილიონ კუბურ მეტრამდე წყალი კი უფასოდ ვაძლიოთ იმ ქვეყანას, რომელიც არც ბუნებრივ აირს გვაწვდის უფასოდ და არც ნავთობს და თავხედური პრეტენზიებიც კი გააჩნია ჩვენი რელიგიური ძეგლებისა და ტერიტორიების მიმართ.

ამრიგად, ჩვენ ვთვლით, რომ არავის აქვს საქართველოს ერთ-ერთი ძვირფასი ბუნებრივი რესურსის – სასმელი წყლის დანაშაულებრივად გაფლანგვის უფლება და ეს საკითხი კიდევ ერთხელ უნდა დაისვას საქართველოს ხელისუფლების წინაშე.

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრი

გაზეთ "ილორის" კომენტარი – როგორც ხედავთ, ჩვენს წყალწაღებულ ქვეყანაში, სადაც მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადის ოდენობა ლამის უდაბნოს ქვეყნების ნიხრს უტოლდება, არავის აინტერესებს, რომ მომჭირნედ და ეფექტურად ხარჯოს ბუნებრივი რესურსები. შეუსაბამობაა ისიც, რომ ერთი უკანონოდ მოჭრილი ხისათვის, რომლის ღირებულება 1.000 ლარს არ აღემატება, ციხეში აყურყუტო ადამიანი, ამ დროს კი 55 მილიონის ევროს ღირებულების სასმელი წყალი კი ქარს გაატანო და ქვეყანას დაუკარგო ის შემოსავალი, რომელიც ბევრად შეუმსუბუქებდა ხვედრს ჩვენ სიღატაკეში ჩაძირულ მოსახლეობას. უფრო საწყენი კი ის არის, რომ ამგვარი კოზირი გეკავოს ხელში და ვერაფერს უპირისპირებდე გათავხედებულ მეზობელს, რომელმაც ადრეც მიიტაცა შენგან ძირძველი ქართული ტერიტორიები და ახლა ახალ უსაფუძვლო ტერიტორიულ პრეტენზიებს გიყენებს. თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აზერბაიჯანი საქართველოს გავლით უკავშირდება ცივილიზებულ მსოფლიოს, ჩვენი გზების გამოყენების სანაცვლოდ, არამც თუ ახალი ტერიტორიის მოთხოვნა, შეიძლება გვეიძულებინა, რომ საქართველოსათვის უკან დაებრუნებინა ჩვენი ძირძველი ბელოქანის, ზაქათალის, ნუხისა და კახის რაიონები, მაგრამ, განა გასაკვირია, რომ სომეხ სააკაშვილსა და თათარ ალიევს დიდად არ აღელვებდეთ **"ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი"**?

მაგრამ, სრულიად საქართველო დღეს იმის მოლოდინშია გარინდებული, რომ ჩვენს მრავალტანჯულ და შევარდნაძე-სააკაშვილების ხროვათა მიერ დაჯიჯგნილ სამშობლოს მალე მოევლინება მისი ჭირის მოზიარე ხელისუფლება და მგლურ მადას შეუკვეცავს როგორც გარეშე, ასევე შინაურ მოძალადეებს!

ამინ!

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამცა თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

იურგენ კლინსმანი

დაიბადა 1964 წლის 30 ივლისს, გერმანიაში.

თამაშობდა კლუბებში **"შტუტგარტ კიკერსი", ვფბ "შტუტგარტი"** (გფრ), **"ინტერნაციონალე"** (იტალია), **"მონაკო"** (საფრანგეთი), **"ტოტენჰემი"** (ინგლისი), მიუნჰენის **"ბავარია"** (გერმანია), **"სამპდორია"** (იტალია).

იურგენ კლინსმანს ძალზე მცირე დრო დასჭირდა იმისათვის, რომ გერმანიის საუკეთესო ბომბარდირი გამხდარიყო და **"შტუტგარტის"** შემადგენლობაში გერმანიაში სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი გამხდარიყო. ამ კლუბის შემადგენლობაში კლინსმანი უეფას თასის გათამაშების ფინალშიც კი გავიდა 1989 წელს, სადაც მისმა გუნდმა წაიფორთხილა. მაგრამ ამ ფეხბურთელით დაინტერესდნენ სპეციალისტები. ამის შემდეგ კლინსმანმა სამი იდბლიანი სეზონი გაატარა **"ინტერის"** შემადგენლობაში. შემდეგ იგი გადაიყვანეს საფრანგეთის **"ოლიმპიკში"**, საიდანაც ინგლისურ **"ტოტენჰემში"** დაიდო ბინა. 1995 წელს კლინსმანი კვლავ გერმანიაში დააბრუნეს და იგი მიუნჰენის **"ბავარიაში"** ჩაირიცხა. კლინსმანმა დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ მომდევნო წელს **"ბავარია"** უეფას თასის მფლობელი გახდა. ამასთან, იურგენ კლინსმანმა საკლუბო რეკორდი დაამყარა, რადგან თასის გათამაშების მატჩებში 15 გოლი გაიტანა.

წარმატებული იყო კლინსმანის კარიერა გერმანიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში – 1990 წელს იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 1996 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ჩვეულ ფორმაში იყო იგი საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც სამი გოლი გაიტანა. მან აქვე განაცხადა, რომ თავს ანებებდა დიდ ფეხბურთს.

პატრიკ კლიუვერტი

დაიბადა 1976 წლის 1 სექტემბერს, ჰოლანდიაში.

თამაშობდა კლუბებში **"შელინგვუდი", "აიაქსი"** (ჰოლანდია), **"მილანი"** (იტალია) და **"ბარსელონა"** (ესპანეთი).

ფეხბურთის მსოფლიო სპეციალისტების აზრით ეს ცენტრალური თავდამსხმელი, ჰოლანდიის ფეხბურთის ისტორიაში, მტკიცედ იკავებს მეორე ადგილს ლეგენდარული იოჰან კრუიფის შემდეგ.

"აიაქსის" ახალგაზრდული სკოლის აღზრდილი ეს ფეხბურთელი ქარიშხალივით შემოვარდა დიდ ფეხბურთში. მართლაც გასაოცარი იყო მისი დებიუტი, როცა 1994 წელს მისმა გუნდმა ჰოლანდიის სუპერთასის გათამაშებაში ანგარიშით 3:0 დაამარცხა მისი ტრადიციული მეტოქე **"ფეინოორდი"**. კლიუვერტი 1995 წელს გახდა ჰოლანდიის სუპერთასის მფლობელი, 1995-1996 წლებში კი ამავე **"აიაქსის"** შემადგენლობაში გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი. 1995 წელს კი ჰოლანდიის **"აიაქსმა"** კლიუვერტის მიერ გატანილი გოლის წყალობით ევროპის ჩემპიონთა თასისათვის გამართულ მატჩში დაამარცხა იტალიის **"მილანი"**. იმავე 1995 წელს **"აიაქსმა"** მოიგო საკონტინენტთაშორისო თასი და ევროპის სუპერთასი. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჰოლანდიის ნაკრებმა კლიუვერტის მიერ გატანილი ორი გოლის წყალობით დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიის საფეხბურთო ნაკრები და ფინალურ ჯგუფში გადავიდა. 1997 წელს კლიუვერტი **"მილანმა"** შეიძინა, მაგრამ იგი ლამის განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა ჰოლანდიაში მომხდარი საბედისწერო ავტოკატასტროფის გამო. მალე პატრიკ კლიუვერტი ესპანეთის **"ბარსელონამ"** შეიძინა, სადაც კიდევ ერთხელ გაბრწყინდა ამ მართლაც შესანიშნავი თავდამსხმელის ვარსკვლავი.

ივან კოლევი

დაიბადა 1930 წლის 1 ნოემბერს, ბულგარეთში.

მთელი კარიერის მანძილზე თამაშობდა ბულგარეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ცენტრალური სპორტული კლუბის საფეხბურთო გუნდში.

ევროპაში სახელგანთქმული ივან კოლევი ის იშვიათი გამონაკლისი გახლდათ, რომელსაც ბურთის ვირტუოზულად ფლობის უნარით, შეუკავებელი დრიბლინგებითა და მოედნის ბრძნული ხედვით მისი თანამედროვეობის უდიდეს უნგრელ ფეხბურთელს ფერენც პუშკაშს ადარებდნენ. მაშინ რომ ბულგარეთი კომუნისტურ წრებრუნვაში არ ყოფილიყო ჩართული, რაც კატეგორიულად უკრძალავდა მათ კაპიტალისტური ქვეყნების სპორტულ სამყაროსთან კომერციულ გარიგებებს, ივან კოლევს ალბათ მსოფლიოს აუმრავი ქვეყნის უძლიერესი კლუბი შეიძენდა, მაგრამ, სახელმწიფოებრივი იზოლაციის გამო, ამ დიდმა ფეხბურთელმა თავისი სპორტული კარიერა მთელი ბულგარეთისათვის ერთ **"საამაყო"** გუნდში – არმიის ცენტრალურ სპორტულ კლუბში გაატარა.

კოლევმა 75 მატჩი ჩაატარა ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში და ყოველთვის თავდასხმის მარცხენა ფლანგზე თამაშობდა. გოლებიც ხშირად გაჰქონდა, საგოლე ჩაწოდებებს ხომ თვლა არ ჰქონდათ. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ბულგარეთის ნაკრებს სწორედ ივან კოლევი თავკაცობდა, რომელმაც ნახევარფინალამდე მიიყვანა საკუთარი ქვეყნის ნაკრები.

ბულგარეთის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის შემადგენლობაში ივან კოლევმა თერთმეტჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება, ოთხჯერ კი ბულგარეთის თასს დაეუფლა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

ფრანგმა ცოლი მოიყვანა ეკითხებიან:

– როგორი ქალი შეგხვდათ ცოლად?

– შესანიშნავი, შეგიძლიათ გასინჯოთ!

* * *

ექიმი ეკითხება პაციენტს:

– რა წონის ხართ?

–ახლა 116 კილოგრამი ვარ, მაქსიმალური წონა 121 კგ. იყო.

– მინიმალური?

– 3 კგ. და 600 გრამი.

* * *

ზოოპარკში:

– მამიკო, ნახე რა საშინელი მაიმუნია.

– გმადლობთ, შვილო, რომ შემახსენე. დედაშენმა მითხრა, სადილზე არ დაგაგვიანოთო.

* * *

– ალო, რადიოა? – რეკავს კახელი.

– დიახ, რა გნებავთ?

– ახლა, თქვენს რადიოს ვუსმენ და იქნება ცოტა ხმას დაუწიოთ, გვერდით მიცვალებულია და სირცხვილია...

* * *

– მამი, შენი სურათი მჭირდება.

– რისთვის?

– მასწავლებელმა მითხრა, ამ დავალების დამწერი იდიოტის სურათი კედელზე უნდა დავკიდოო.

* * *

– ჩემი მეზობელი გათხოვდა.

– როგორი ქმარი ჰყავს?

– ნამდვილი აინშტაინია.

– მასეთი ჭკვიანია?

– ...არა, ჭაღარაა და ყველას ენას უყოფს!

მორიელის სიღრმეში

გაგრძელება მე-8 გვ-დან.

ძმითა და მამულით უწყალობა გიორგი მეფემ ვახტანგ აგიაშვილს (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1999 წ. გვ. 540)" და სხვა. ასე რომ, კუპრას კითხვის ნიშნის დასმა არ სჭირდება და ნამდვილად არ არის იგი სომხური სახელი. კუპრაში **-ა** არის სუფიქსი, რომელიც მსგავსებას აღნიშნავს. **კუპრა** კუპრის გამო შეერქმეოდა ხოლმე ადამიანს შავი ფერის გამო, ისევე როგორც **შავ-ა**, საიდანაც გვაქვს შემდეგი გვარები: შავაძე, შავიშვილი, შავიანიძე, შავიძე... ისევე როგორც ქერისფერი ადამიანი იყო **ქერა,** ღვინისფერი - **ღვინა** (აქედან გვარები: ღვინაძე, ღვინიაშვილი...) შვინდისფერი - **შვინდა,** სვილისფერი - **სვილა** და მრავალი სხვა.

ამგვარად, **Большинство имен**-ში რომლებიც თურმე სომხურია **„ბურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში"** არ შედის კუპრა. ა. სანოსიანს რატომღაც ყურადღება არ მიუქცევია იმ ფაქტისათვის, რომ კუპრა **კაკას** ძეა. კაკაც გაუგებარი სახელია მისთვის და იმიტომ, ალბათ. შორს წაგვიყვანს იმ ქართველთა ჩამოთვლა, რომლებიც ცხორვობდნენ ჩვენი ისტორიის სხვადასხვა დროს და ერქვათ კაკა, ან იყვნენ კაკაშვილები, კაკაურიძენი და სხვა. ამ სახელისგან ნაწარმოები ბევრი ტოპონიმია საქართველოში, მათ შორის დავასახელებ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში კარგად ცნობილ **კაკას ხიდს**, რომელიც მესხეთიდან იმერეთში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ასევე დავიწყებია თუ გამორჩენია პატივცემულ მეცნიერს კაკას ერთ-ერთი შვილის სახელი **ყვავილა.** კუპრა რომ სომეხი ყოფილიყო თავის შვილ ყვავილას კი არ დაარქმევდა არამედ **წაღიკას,** როგორც ჰქვია და ერქვა ბევრ სომეხს.

ა. სანოსიანს **Большинство имен**-ში, როგორც სომხური სახელი, გაჰყავს კუპრას მეორე შვილის სახელი **მანველი.** მანველი არის ფონეტიკური ვარიანტი ძველებრაული ემანუელ, ემანუილისა. მისაგან არის წარმოქმნილი ქართული გვარები: მანველაშვილი, მანველიშვილი, მანელიშვილი, მანველიძე, მანელიძე (ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, 2003, გვ. 151-152).

ასევე სომხურ სახელად აცხადებს ა. სანოსიანი ისეთ ქართულ სახელს, როგორიცაა **ვარძელი.** ვარძიას ჰქონდა ფონეტიკური ვარიანტი ვარძა (ვარძია ერთადერთი სახელი არ არის საქართველოში). ვარძელი ნიშნავს ვარძიიდან წამოსულს და მისგან არის ნაწარმოები ქართული გვარი ვარძელაშვილი, ისევე, როგორც ბანძა > ბანძელა > ბანძელაძე. კახეთიდან წამოსული არის კახელი და მისგან გვარი – კახელიშვილი, იმერეთიდან წამოსული იმერელი და მისგან ნაწარმოები იმერლიშვილი და სხვა მრავალი. ვარძელი/ვარძელა გავრცელებული სახელი იყო საქართველოში. საამისო მაგალითების მოხმობა შორს წაგვიყვანს.

მაზმანი აღმოსავლური სიტყვაა, შემოსულია ქართულში როგორც ხელობის აღმნიშვნელი ტერმინი. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი წერდა, რომ მაზმანი არის **„ბალნის მრთველი".** ბალნის თოკის მგრეხელად განმარტავს მას დ. ჩუბინაშვილი. მაზმანი არის მესაბლე. ამგვარად **„ბურჯისტანის დიდ დავთარში"** დადასტურებული მაზმანი არ უნდა იყოს სახელი, ის აღნიშნავს ხელობას. ოსმალო მოხელე წერს, რომ აწყურში ცხოვრობდა **მაზმანი გიორგი**, ე.ი. მესაბლე გიორგი, ბალნის თოკის მგრეხელი გიორგი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მაზმანი არ შეიძლება ქცეულიყო სახელად. ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები დაერქმეოდა ადამიანებს სახელებად ან მეტსახელებად და შემდეგ ვღებულობდით მისგან გვარებს. ასე გვაქვს მიღებული გვარი მაზმანიშვილი. როგორც ვთქვათ, მენაღარე და მენაღარიშვილი. ზ. ჭუმბურიძე წერს: **„სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარებია: დალაქიშვილი, დურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხარაზი, ხარაზიშვილი, ხუროძე, ხუროშვილი, ზეინკლიშვილი, კალატოზიშვილი, მენაბდე, მეტიკიშვილი, მეცხვარიშვილი, მეხრიეშვილი, მებაღიშვილი, მზარეულაშვილი, ფეიქრიშვილი, ხაბაზიშვილი, მესარკიშვილი, მესაბლიშვილი** (საბელი - **„თოკი"**, მესაბლე - **„თოკის მგრეხელი"**), **მაზმანაშვილი** (მაზმანაშვილი). **მაზმანი საბას განმარტებით „ბალანის მრთველი"**... (ზ. ჭუმბურიძე, 2003. გვ. 87)". ხელობის აღმნიშვნელი გვარებიდან ზოგი ქართული იყო, ზოგიც ხელობასთან ერთად შემოსული ტერმინი და მისგან მიღებული გვარები. ასეთი ტერმინები შედიოდა სომხურშიც და ვღებულობდით ერთნაირფუძიან გვარებს. მაგ. ხარატიშვილი და ხარატიანი, მაზმანიშვილი და მაზმანიანი, დალაქიშვილი და დალაქიანი და ა.შ.

ქართულ გვარებში არანაკლებ პროდუქტიულია –იან სუფიქსი, ამიტომ ხშირად არა მხოლოდ ფუძეთა დამთხვევა ხდება, არამედ მთლიანად გვარისაც. მაგ.: დავითიანი შეიძლება იყოს სომეხიც და ქართველიც, ამ შემთხვევაში ოჯახმა და გვარმა ძალიან კარგად იცის ვინ ვინ არის, სომეხია თუ ქართველი. ზოგიერთ სომეხ მეცნიერს ამის გარკვევა არ აინტერესებს და მხოლოდ საკუთარი ჭუჭრუტანიდან იყურება.

პატივცემულ ა. სანოსიანს სადაც კი მისთვის ნაცნობი სიტყვა შეხვდა, გადაწყვიტა, რომ გვარიც და სახელიც სომხურია. თითოეულ სახელს, თითოეულ გვარს უნდა შესაბამისი კვალიფიკაციით კვლევა და შემდეგ არის დასკვნების გამოტანა საჭირო.

კიდევ ერთ სახელზე მიუთითებს პატივცემული მეცნიერი აწყურის მცხოვრებლებში. ეს არის **Егия.** თუ ამ შემთხვევაში არასწორ დაწერილობასთან არა გვაქვს საქმე და ავტორმა ვერ ამოიკითხა სახელი ელია, მაშინ ასეთი სახელის კაცს მე-16 საუკუნის ბოლოს აწყურში არ უცხოვრია.

კარგი იყო პატივცემულ მეცნიერს ყურადღება მიექცია გადასახადების მითითების შემდეგ დაფიქსირებულ სახელებზეც. **„დავთარი"** გვამცნობს, რომ ვენახი **დედისიმედისა** და **მაწყვერელი ბერისა** როგორ გადადის მაჰმადიან დიდგვაროვანთა ხელში და როგორ ფორმდება ეს დოკუმენტურად (ს. ჯიქია, 1941, გვ. 90). **დედისიმედი** მესხეთში გავრცელებული სახელია. **მაწყვერელი** აწყურის მკვიდრის, სასულიერო პირის წოდებაა, რაც, რა თქმა უნდა, გახასვავს, რომ სასულიერო და საერო ხელისუფლების წარმომადგენლები რომელთა ხელშიც გამორჩეული ადგილები იყო, ქართველები არიან.

ჯერჯერობით შეხმატკბილებულად ითვისებენ ქართულ სახელებს სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერები, საინტერესოა, ერთმანეთში როგორ მორიგდებიან შემდეგ?!

მერაბ ბერიძე,
პროფესორი

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27